პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი—მეთერთმეტე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დილის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23-17
მდივნის 10-58
მასიური განყოფილ. 22-44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34
ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17-55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტს ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტს ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5-43.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის
ათი წლის თავი

შაბათი, 21 მარტი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 65 (3020)

ახალი ეკონომიური პოლიტიკის („ნეპ“) ათი წლის თავი

1921 წლს 21 მარტის გამოცხადებულმა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უზრუნველყო საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლება და სწრაფი ტემპებით აღდგენა, მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების კავშირის განმტკიცება, შეტევის მომზადება და შემდეგ მთელს ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევა კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ

კლასიური მტრების იმედი საბჭოთა ხელისუფლების გადაგვარებისა (ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგად), პროლეტარული დიქტატურის დასუსტებისა, მისი ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისა—არ გამართლდა

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლენინური გაგებიდან გადახრამ ჩვენი კლასიური მტრის აგენტურად გადააქცია როგორც ტროცკისტები და „ახალი ოპოზიცია“, ისე მემარჯვენე ოპორტუნისტები, რომლებიც გამოააშკარავა და დაამარცხა პარტიამ

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მისი ავანგარდი—ლენინის პარტია, ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ურყევი ხელმძღვანელობით ათავებენ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში სოციალიზმის საძირკვლის აშენებას; საბჭოთა ქვეყანა შევიდა სოციალიზმის პერიოდში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელ პერიოდში

გაუმარჯოს სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში! გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

„ადამიანები, რომლებიც მრავალ საკითხებში ერთმანეთს არ ეთანხმებიან, რომლებიც სხვადასხვა თვალსაზრისით აფასებენ მდგომარეობას ერთსულოვნად და ძალიან ჩქარა მივიდოდნენ სრულიად უეჭმანოდ იმის აღიარებამდე, რომ ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი მიდგომა სოციალისტური ეკონომიკისადმი, მისი საძირკვლის აშენებისადმი და ერთად-ერთი საშუალება ამ მიდგომის გამოსანახავად ეს არის — ახალი ეკონომიური პოლიტიკა“.
(ლენინი).

ათი წელი

მწვავე და ხანგრძლივი სამოქალაქო ომიდან 1920 წლის დასასრულისათვის საბჭოთა ხელისუფლება გამარჯვებული გამოვიდა. შინაურ კონტრ-რევოლიუციასთან და ინტერვენტებთან შეიარაღებულ ბრძოლაში მშრომელთა მასებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალეთ დაიცვეს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარნი. სამოქალაქო ომის დასრულებით ბოლო მოეღო იმ ხანისათვის აუცილებელ სამხედრო კომუნიზმს. 1921 წლის გაზაფხულიდან პროლეტარული სახელმწიფო გადავიდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. დეკრეტი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღების შესახებ გამოიცა 1921 წლის 21 მარტს, რომლის ავტორი ამხ. ლენინი იყო.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლით პროლეტარულმა სახელმწიფომ უკან დაიხია სამხედრო კომუნიზმის პოზიციებიდან. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე იყო სასურსათო გაწერის შეცვლა სასურსათო გადასახადით, საშუალო გლეხობისათვის სამოქალაქო ომით დაკისრებულ მძიმე ტვირთის შემსუბუქება და განსაზღვრულ ფორმებში პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლის დაშვება. ყოველივე ეს მიზნად ისახავდა პირველ რიგში ქვეყნის გამოყვანას იმ სამეურნეო ნგრევიდან, რომელშიაც მოექცა ის მსოფლიო და სამოქალაქო ომების პერიოდში. აზრი სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხობა სახელმწიფო ვალდებულებათა გასტუმრების შემდეგ მთელი ზედმეტი ნაწარმოების, საკუთარი მეურნეობის სასაქონლო ნაწილის უშუალო განმკარგულებელი, გამომყენებელი იყო და შეეძლო ამ პროდუქტების გადაცვლა მისთვის აუცილებელ საგნებზე.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ლენინს სტრატეგიულ უკანდახევად მიაჩნდა, ე.ი. ისეთ უკან დახევათ, რომელიც დროებით ხასიათს ატარებდა და რომელიც იყო საშუალება განსაზღვრულ პოზიციებზე გამაგრების, პროლეტარიატის მიერ საკუთარ ძალთა დაგროვების შემდეგ შეტევაზე გადასასვლელად. „ჩვენ ამჟამად უკან ვიხევთ — ამბობდა ლენინი — მაგრამ ამას ვშვრებით იმისათვის, რომ ჯერ უკან დავიხიოთ, შემდეგ კი გავექანოთ და უფრო ძლიერ გადავხტეთ წინ. მხოლოდ ამ ერთ პირობით დავიხიეთ უკან ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებაში“. ეს უკან დახევა გრძელდებოდა მთელი 1921 წლის განმავლობაში და ნაწილობრივ 1922 წლის პირველ თვეებში. ლენინი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ეკონომიური უკანდახევის წესს და მოითხოვდა, რათა ის ყოფილიყო რაც შეიძლება შეგნებული და მწყობრი. „რამდენადაც უფრო შეგნებულად, მწყობრად, ნაკლები ცრუმორწმუნეობით მოვახდენთ ამ აუცილებელ უკანდახევას, იმდენად უფრო ჩქარა შევძლებთ მის შეჩერებას და იმდენად უფრო მტკიცე, ჩქარი და ფართო იქნება ჩვენი ძლევამოსილი შეტევა“ (ლენინი).

ლენინი ჯერ კიდევ 1921 წლის ნოემბერში ამბობდა, რომ უკვე ჩანს ამ უკან დახევის **საზღვრების** ნიშნები და რომ „ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება ამ უკან დახევის შეჩერება“-ო. ეკონომიური უკანდახევის დამთავრების შესახებ ლენინი უკვე აშკარად აცხადებს პარტიის მე-11 ყრილობაზე, ხოლო მანამდე უფრო ადრე, მეტალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობის კონფერენციის სხდომაზე 1922 წლის 6 მარტს, ლენინი კატეგორიულად სვამს საკითხს ეკონომიური უკანდახევის შეწყვეტის, მისი დამთავრების შესახებ. „ჩვენ ეკონომიური უკანდახევა შეგვიძლია ეხლა შევაჩეროთ. ამაზე შორს უკან აღარ წავალთ. ეხლა შეუდგებით ჩვენი ძალების გაშლას და დაჯგუფებას“-ო.

ახალი ეკონომიური პოლიტიკით ჩვენ უკან დავიხიეთ ამბობდა ლენინი და ეს იმიტომ, რომ „შევმჭიდროვდეთ გლეხურ მასასთან, მშრომელ გლეხობასთან და დავიწყოთ წინსვლა ბევრად უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ ვოცნებობდით, მაგრამ სამაგიეროთ ისე, რომ ნამდვილად მიდიოდეს ჩვენთან ერთად წინ მთელი მასა. მაშინ ამ მოძრაობის დაჩქარება თავის დროზე იქნება ისეთი, რომლის შესახებ ამჟამად ოცნებაც არ შეგვიძლია“. აქ აზრი ნათელია, პერსპექტივა გარკვეულია. ლენინი აღნიშნავდა **დროებით** უკან დახევის აუცილებლობას, უკან დახევას **გარკვეულ დრომდე**, რომლის შემდეგ იწყებოდა თანდათანობითი, სისტემატიური წინსვლა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის თავისებურ გაგებას ლამობენ ბურჟუაზიული ეკონომისტები, ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები: მენშევიკები, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები. ყველა ესენი სჩადიოდნენ უდიდეს შეცდომას, იდგნენ ყალბ პოზიციებზე, რადგან არც ერთ მათგანს არ ესმოდა ან არ სურდა გაეგო ახალი ეკონომიური პოლიტიკის თავისებური, ორმაგი, დიალექტიური ხასიათი. არ სურდათ გაეგოთ ან არ ესმოდათ ის, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, **მარტო უკან დახევა არ იყო.** არსად, არასოდეს ლენინს არ უთქვამს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეოხებით ჩვენ თითქოს დაუშვით კაპიტალიზმის სრული თავისუფლება, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა თითქოს მარტო უკანდახევა იყო, სტიქიურ საბაზრო ურთიერთობათა გამოცოცხლება და მეტი არაფერი. პირიქით, ლენინი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა მხოლოდ **დროებითი, ნაწილობრივი** უკანდახევაა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ძალების და საშუალებების დაგროვების შემდეგ გადაიქცევა მოფიქრებულ, მომზადებულ და მედგარ შეტევად სოციალიზმის გამარჯვების მიზნით.

სწორედ ამიტომ ამბობდა ამხ. სტალინი „ახალი ოპოზიციის“ წინააღმდეგ ბრძოლის დროს მე-XIV პარტყრილობაზე, რომ **„ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა — კაპიტალიზმის დაშვების პოლიტიკა პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში მბრძანებელი მაღლობების არსებობის დროს, პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლას, გულისხმობს სოციალისტური ელემენტების როლის გაძლიერებას კაპიტალისტური ელემენტების საზიანოთ, გულისხმობს სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას კაპიტალისტურ ელემენტებზე, გულისხმობს კლასების მოსპობას და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებას“.**

ვაჭრობა, რომლის ერთგვარ თავისუფლებას გულისხმობდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, იყო განსაზღვრულ კალაპოტში მოქცეული, შეზღუდული, შეკვეცილი პროლეტარულ სახელმწიფოს მიერ. ეს იყო „ვაჭრობის განსაზღვრულ ფარგლებში თავისუფლება, განსაზღვრულ ჩარჩოებში სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის უზრუნველყოფით ბაზარზე“ (სტალინი) „საქონლის ბრუნვა არის ვაჭრობის თავისუფლება. იგი არის კაპიტალიზმი. ჩვენთვის ის იმდენად სასარგებლოა, რამდენადაც დაგვეხმარება ვებრძოლოთ წვრილ მწარმოებელთა დაქსაქსულობას და რამდენადმე ბიუროკრატიზმსაც. ამ შემთხვევაში საზომს მოგვცემს პრაქტიკა, ცდა. საშიშ აქ პროლეტარულ ხელისუფლებისათვის არაფერია იმ დრომდე, ვიდრე მის ხელშია ტრანსპორტი და მსხვილი მრეწველობა“ (ლენინი). ლენინი აღნიშნავდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არა მარტო უკან დახევაა, არამედ უფრო მეტად ის სოციალისტურ წინსვლის, კაპიტალიზმის დაძლევის და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების პირობაა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა კლასობრივი ბრძოლის საშუალებაა, ის წვრილი საქონლის მწარმოებელთა სოციალისტურად გარდაქმნის და კაპიტალისტური კლასის დამორჩილების, მისი ლიკვიდაციის იარაღია.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას ლენინმა მთელ თავისი მნიშვნელობით დასვა საკითხი ამ პოლიტიკის ნიადაგზე ისტორიული ამოცანის **„ვინ-ვის“** გადაწყვეტის შესახებ — კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვების, სტიქიურობაზე გეგმიანობის, გამარჯვების შესახებ. მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც წამოაყენა ლენინმა — ეს არის საბჭოთა ქვეყნის მიერ კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის დაწევის და წინ გასწრების ამოცანა.

„ახალი ეკონომიური პოლიტიკის რუსეთი უნდა გადაიქცეს სოციალისტურ რუსეთად“-ო, — გამოისროლა ამხ. ლენინმა ლოზუნგი. ხოლო ამ ლოზუნგის განხორციელება გულისხმობდა უდიდესი საკითხის „ვინ-ვის“ დადებით გადაჭრას, პროლეტარიატის დიქტატურის მიერ წვრილ გლეხურ მეურნეობისათვის საბოლოოდ თავის მხარეზე გადაყვანას, წვრილ გლეხურ მეურნიობათა განსაზოგადოებას, ამავე დროს მეურნეობის ყველა დარგებიდან კაპიტალისტურ ელემენტების გაძევებას და სოციალისტური სექტორის ყოვლისმხრივ გაბატონებას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლა ლენინურ „ვინ-ვის“-ის გადასაწყვეტად. და ეს ბრძოლა იყო და არის მწვავე ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, რომლიდანაც გამარჯვებული გამოდის სოციალიზმი. მრეწველობაში, როგორც ამის შესახებ ამბობდა ამხ. სტალინი მე-16 პარტყრილობაზე საკითხი „ვინ-ვის“ ძირითადათ სოციალიზმის სასარგებლოდ გადაწყდა და ეხლა სწარმოებს ბრძოლა რათა მიმდინარე წელს ეს საკითხი ასევე დადებითად იქნას გადაჭრილი სოფლის მეურნეობაში: ეს შესაძლებელია წვრილ გლეხურ მეურნეობათა არა ნაკლებ ნახევრის განსაზოგადოებით და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციით მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ჩვენ უდიდეს შედეგებს მივაღწიეთ ლენინის მეორე ლოზუნგის, კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის დაწევის და გასწრების ლოზუნგის პრაქტიკულად გადაჭრის გზაზე; უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ მსხვილი ინდუსტრიის, სოციალიზმის ამ ერთად ერთ მატერიალურ საფუძვლის, ფრიად სწრაფი, კაპიტალიზმისათვის უჩვეულო, განვითარებით.

ამ მიღწევათა საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს შემდეგი მეტყველური ციფრები: გასული 10 წლის განმავლობაში სახალხო შემოსავალი გაიზარდა ოთხჯერ, ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია **თორმეტ-ნახევარჯერ**, მთელი სათესი ფართობი **ერთ ნახევარჯერ**, საქონლის ბრუნვაში **ხუთნახევარჯერ**, რკინის გზების ტვირთბრუნვა **ექვსჯერ** უფრო მეტად. კერძო სექტორის მონაწილეობა ცენზიანი და წვრილი მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1921 წელს შეადგენდა **36** პროცენტს, ხოლო 1930 წელს **5** პროცენტს, კერძო სექტორს 1921 წელს ეჭირა მთელი სათესი ფართობის **99** პროცენტი, 1930 წელს **67** პროცენტი, საქონლის ბრუნვაში (საცალო) კერძო სექტორში წილი შემცირდა **64** პროცენტიდან **5,5** პროცენტამდე, 1927 წლის პირველ ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა **1,1** პროცენტი, ხოლო 1931 წლის 10 მარტისათვის **37,5** პროცენტი. ინდუსტრიალურ მუშების რიცხვი 1921 წელში უდრიდა **2 მილიონ 470 ათასს**, ხოლო 1930 წელში **6 მილიონ 359 ათასს.** მუშათა სამუშაო ხელფასი ცენზიან მრეწველობაში გაიზარდა **14 მანეთიდან** (1921 წელი) **80,4** მანეთამდე (1930 წელი).

ეს მიღწევანი მოპოებულ იქნა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე ლენინური გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებით, ამ ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ბრძოლით.

კონდრატიეველებს, მენშევიკებს და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრებს სწამდათ პროლეტარული სახელმწიფოს გადაგვარება. მათ ეგონათ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა სისტემატიური უკანდახევა, კაპიტალიზმის განუწყვეტლივი გამოცოცხლება იქნებოდა და ამით, მათი აზრით, უნდა მომხდარიყო ჩვენში კაპიტალისტური ეკონომიკის რესტავრაცია. მაგრამ მტრები სასტიკად მოსტყუვდნენ. მარტოვების, კაუცკების და უსტრიალოვების წინასწარმეტყველება დამარცხდა. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მათი არც ერთი მოსაზრება არ გაამართლა, და არ გაამართლა იმიტომ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა იყო და არის არა მარტო უკან დახევა, არამედ უფრო მეტად სოციალისტური წინსვლის, სოციალისტური შეტევის პოლიტიკა, პოლიტიკა, სოციალისტურ ეკონომიკის აგებისა.

ტროცკისტულ-ზინოვიევის ოპოზიციას, რომელიც აღიარებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობას, ახალი ეკონომიური პოლიტიკა მხოლოდ უკან დახევად, სახელმწიფო კაპიტალიზმად მიაჩნდა. მემარჯვენე გადახრა, რომელიც უარყოფს კლასობრივ ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში და აყენებს თეორიას კულაკობის სოციალიზმში შეზრდის შესახებ, ისე როგორც ტროცკიზმი, უარყოფს ეკონომიური პოლიტიკის მეორე, ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს, სოციალისტურ შეტევას. ყველა ამათ არ ესმოდათ და არ ესმით, რომ ახალი ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე დღითი დღე იზრდებოდა განსაზოგადოებული სექტორის ძალა და თანდათანობით მზადდებოდა ნიადაგი სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების დასამთავრებლად, რაც მიმდინარე წელს უნდა შესრულდეს.

მრავალ დაბრკოლებათა გადალახვით, მუშათა კლასის მიერ უდიდესი შრომითი ენტუზიაზმის გამოჩენით, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებით, მსხვილი ინდუსტრიის ზრდით, სოფლად მანქანა-იარაღების მასიური გავრცელებით, ქალაქის მიერ სოფლისადმი საწარმოო დახმარების გაძლიერებით, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების საგრძნობი ზრდით და მთელს სახალხო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის გაძლიერებით 1929 წლისათვის ჩვენ მნიშვნელოვან ცვლილებებს მივაღწიეთ ქვეყნის ეკონომიკაში. ღარიბ და საშუალო გლეხობის ძირითადი მასების მობრუნება 1929 წლის მეორე ნახევარში საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ შეიქმნა გარდატეხის მომენტად ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარებაში და ჩვენ გადავედით ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ახალ ეტაპზე, იმ ეტაპზე, როდესაც ამხ. სტალინის თქმით სხვა გვარად ისმება საკითხი კლასებისა, პარტიის პოლიტიკისა, ქალაქისა და სოფლის კავშირისა და სხვათა შესახებ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ახალი ეტაპი ხასიათდება კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით, კაპიტალისტურ ელემენტებზე გაშლილი სოციალისტური შეტევით, ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის თანდათანობით გაქრობით და სტიქიურ—საბაზრო ურთიერთობისათვის საბოლოოდ ძირის გამოთხრით. ახალი ეტაპი გაგრძელებაა იმ სოციალისტური შეტევისა, რომელიც ჯერ კიდევ მანამდე სწარმოებდა, მაგრამ ეს შეტევა კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ აქ ფართო, გადამწყვეტ ხასიათს იღებს. ახალ ეტაპზე ჩვენ შევედით სოციალიზმის პერიოდში, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის უკანასკნელ პერიოდში.

„ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოღებულია იმისათვის, — ამბობდა ამხ. სტალინი მე-16 ყრილობაზე—რომ სოციალიზმმა გაიმარჯვოს კაპიტალისტურ ელემენტებზე. როდესაც გადავდივართ შეტევაზე მთელ ფრონტზე, ამით ჩვენ ჯერ კიდევ არ ვაუქმებთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, ვინაიდან კერძო ვაჭრობა და კაპიტალისტური ელემენტები კიდევ რჩებიან. საქონლის ბრუნვა და ფულადი მეურნეობა ჯერ კიდევ რჩება. მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვაუქმებთ ახალ ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისს სტადიას და ვშლით მის შემდგომ სტადიას ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეხლანდელ სტადიად, რომელიც არის ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელი სტადია“. (სტალინი).

განვაგრძოთ ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის ურყევათ გატარებისათვის. დავეუფლოთ ტეხნიკას. კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომის სოციალისტური ფორმები. გავაძლიეროთ კლასობრივი მტრების წინააღმდეგ განმანადგურებელი შეტევა. ვაწარმოოთ შეურიგებელი ბრძოლა კულაკების აგენტების: მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტების და მათდამი შემარიგებლების წინააღმდეგ, ყველა სახის მავნებლების (კონდრატიეველის, სოციალ-ინტერვენტების და სხვათა) წინააღმდეგ; მივაღწიოთ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წლიწადში სოციალისტურ ეკონომიკის საძირკვლის აშენებას.

„ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა — კაპიტალიზმის დაშვების პოლიტიკა პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში მბრძანებელი მაღლობების არსებობის დროს, პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლას, გულისხმობს სოციალისტური ელემენტების როლის გაძლიერებას კაპიტალისტური ელემენტების საზიანოდ, გულისხმობს სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას კაპიტალისტურ ელემენტებზე, გულისხმობს კლასების მოსპობას და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებას“. (სტალინი)

ახალი ეკონომიური პოლიტიკის 10 წელი

(1921—1931 წ.)

(ისტორიული ცნობა)

1921 წლის **21** მარტს ცენტრალურმა ამასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა—შეიცვალოს სასურსათო გაწერა ნატურალური გადასახადით, ამასთან სურსათის, ნედლეულის და ფურაჟის მთელი მარაგი დარჩეს მიწათმოქმედთა სრულ განკარგულებაში მათ მიერ გადასახადის შესრულების შემდეგ. სასურსათო გაწერის, სასურსათო გადასახადით შეცვლის საკითხი, მაშასადამე, **1921** წელს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის საკითხი, პირველად დაისვა რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე **1921** წლის **8** თებერვალს „თესვის კამპანიისა და გლეხობის მდგომარეობის“ შესახებ მოხსენების განხილვის დროს, გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესამუშავებლად მე-10 პარტყრილობისათვის დაარსდა კომისია, რომელსაც ვლადიმერ ილიას ძე **ლენინმა** შემდეგი ღონისძიებანი წარუდგინა:

1. დაკმაყოფილდეს უპარტიო გლეხობის სურვილი სასურსათო გაწერის (ზედმეტი მარაგის წაღების მნიშვნელობით) პურის გადასახადით შეცვლის შესახებ.
2. შემცირდეს ამ გადასახადის რაოდენობა შარშანდელ გაწერასთან შედარებით.
3. მოწონებულ იქნას პრინციპი გადასახადის ფარგლების შეფარდებისა მიწათმოქმედთა გულმოდგინებასთან—იმ აზრით, რომ გადასახადის პროცენტი შემცირდეს მიწათმოქმედთა გულმოდგინების გადიდების დროს.
4. გაფართოვდეს მიწათმოქმედის მიერ გადასახადის ზევით ზედმეტი მარაგის გამოყენების თავისუფლება ადგილობრივ სამეურნეო ბრუნვაში იმ პირობით, თუ იგი სწრაფად და მთლიანად შეიტანს გადასახადს.

ეს დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ამ წინადადებებს და რომელსაც ვ. ი. **ლენინი** უწოდებს „გლეხობის შესახებ წინასწარ შავად დაწერილ თეზისებს“, ინახება ლენინის ინსტიტუტის არქივში).

1921 წლის **7** მარტს რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა დადგენილება სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის შესახებ, რის შემდეგაც ეს დადგენილება საბოლოო რედაქციით გამოტანილ იქნა რ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე, როგორც რეზოლიუცია ლენინის მოხსენების გამო სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის შესახებ. იგი მიღებულ იქნა ყრილობის მიერ **1921** წლის **15** მარტს, ამის შემდეგ **1921** წლის **21** მარტს დადგენილება სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ მიიღო სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ დეკრეტში ნათქვამი იყო: „მეურნეობის სწორი და მშვიდობიანი წარმოების უზრუნველსაყოფად მიწათმოქმედთა მიერ თავიანთი შრომის პროდუქტების და თავიანთი სამეურნეო სახსრების უფრო თავისუფლათ გამოყენების საფუძველზე, გლეხური მეურნეობის განმტკიცებისა და მისი ნაყოფიერების აწევისათვის, აგრეთვე მიწათმოქმედებზე დაკისრებულ სახელმწიფო ვალდებულებათა ზუსტი განსაზღვრის მიზნით, სასურსათო გაწერა, როგორც სახელმწიფოს მიერ სურსათის, ნედლეულის და ფურაჟის დამზადების წესი, იცვლება ნატურალური გადასახადით. ნედლეულის, სურსათის და ფურაჟის მთელი მარაგი, რომელიც დარჩება მიწათმოქმედთ გადასახადის გასტუმრების შემდეგ, მათ სრულს განკარგულებაში იმყოფება“.

სასურსათო გადასახადის შემოღებამ ამის შემდეგ მთელი რიგი არსებითი შესწორებების შეტანამ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკაში გამოაცოცხლა საბჭოთა რუსეთის მთელი სამეურნეო ცხოვრება, განამტკიცა მუშათა კლასის კავშირი გლეხობის ძირითად მასებთან და ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით დანგრეულ სახალხო მეურნეობის სწრაფი ტემპით აღდგენას, მიუხედავად იმ უდიდესი შერყევისა, რომელიც განიცადა ჩვენი ქვეყნის მეურნეობამ 1921 წლის გვალვისა და შიმშილობის გამო.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამოცანებს ვ. ი. **ლენინი** განსაზღვრავდა შემდეგი სიტყვებით: „შევმჭიდროვდეთ გლეხურ მასასთან, რიგის მშრომელ გლეხობასთან და დავიწყოთ წინსვლა, ბევრად უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ ვოცნებობდით, მაგრამ, სამაგიეროდ, ისე, რომ ნამდვილად მიდიოდეს ჩვენთან ერთად წინ მთელი მასა. მაშინ ამ მოძრაობის დაჩქარება თავის დროზე იქნება ისეთი, რომლის შესახებაც ამჟამად ოცნებაც არ შეგვიძლია“. (ტომი 18, ნაწილი მე-2, გვ. 29).

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ ყველა კლასობრივ მტრებს ჩაუნერგა იმედი, რომ საბჭოთა ხელისუფლება გადაგვარდებოდა, დასუსტდებოდა და შემდეგ მოხდებოდა პროლეტარული დიქტატურის ლიკვიდაცია და კაპიტალიზმის რესტავრაცია. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. პრაქტიკულმა სამეურნეო მშენებლობამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე, ვ. ი. **ლენინის** ხელმძღვანელობით, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ცენტრალური კომიტეტის, რომელსაც ამხ. **სტალინი** მეთაურობს, ცხადჰყო, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა მარტო უკან დახევა არ ყოფილა, რომ ამავე დროს იგი წარმოადგენს ისეთ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს კლასობრივ ძალთა გადაჯგუფებას ჩვენ ქვეყანაში შეტევისათვის მოსამზადებლად და, ბოლოს, თვით გაშლილ სოციალისტურ შეტევას მთელ ფრონტზე, ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე წარმოებული სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებამ ათი წლის მანძილზე სავსებით დაადასტურა ახალი ეკონომიური პოლიტიკის რაობის კლასიკური ლენინური განსაზღვრა, მოცემული სტალინის მიერ:

„ახალი ეკონომიური პოლიტიკა,—ამბობდა ამხ. სტალინი,—არის პროლეტარულ სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა—კაპიტალიზმის დაშვების პოლიტიკა პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში მბრძანებელი მაღლობების არსებობის დროს, პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლას, გულისხმობს სოციალისტური ელემენტების როლის გაძლიერებას კაპიტალისტური ელემენტების საზიანოდ, გულისხმობს სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას კაპიტალისტურ ელემენტებზე, გულისხმობს კლასების მოსპობას და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებას“.



ვისაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეს გარდამავალი ორმხრივი ბუნება არ ესმის, იგი სცილდება ლენინიზმს. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამ ორმხრივი ბუნების ვერგაგება ახასიათებდა როგორც ტროცკიზმს, ისე ეგრედწოდებულ „ახალ ოპოზიციას“ (1925-27 წელი) და მემარჯვენე ოპორტუნისტულ მიმდინარეობას ჩვენს პარტიაში. ტროცკისტები და ახალი „ოპოზიცია“, რომელთაც არ სწამდათ მუშათა კლასის მიერ გლეხობისადმი ხელმძღვანელობის გაწევის უნარი სოციალიზმისათვის ბრძოლაში და რომლებიც უარყოფდნენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, ახალ ეკონომიურ პოლიტიკას უყურებდნენ, როგორც მხოლოდ უკან დახევის და შესვენების პოლიტიკას, რაც საშუალებას იძლევა „გავძლოთ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებამდე მსოფლიო მასშტაბით“.

ტროცკისტები, რომელთაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა მხოლოდ უკან დახევად მიაჩნიათ, ამბობდნენ: „სახელმწიფო მრეწველობა წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმის განსაკუთრებულ ფორმას“. მემარჯვენე ოპორტუნისტებიც (ბუხარინის ჯგუფი) ახალ ეკონომიურ პოლიტიკას აფასებდნენ, როგორც მხოლოდ უკან დახევას. ისინი იცავდნენ ხელ-ფეხის გახსნას საბაზრო სტიქიისათვის, შეუზღუდველ თავისუფალ ვაჭრობას, ჩქმალავდნენ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას სოციალისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე და ქადაგებდნენ „კულაკის შეზრდას სოციალიზმში“. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიჩნევა „საქონლის ბრუნვის ნორმალიზაციის“ პოლიტიკად. საწარმოო ძალებისათვის ხელ-ფეხის გახსნა, იმის ვერ გაგებამ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა წარმოადგენს ისეთ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ჩაყრას, გამოიწვია მემარჯვენე ოპორტუნისტების გაფართოებული ბრძოლა გაშლილი სოციალისტური შეტევის წინააღმდეგ, ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპების წინააღმდეგ, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ფართო მშენებლობის წინააღმდეგ და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის რაობის ლენინური გაგების წინააღმდეგ ბრძოლაში მემარჯვენე ოპორტუნისტები, ისევე, როგორც ტროცკისტები, ობიექტიურად წარმოადგენდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული და კაპიტალისტური ელემენტების საყვირს.

სოციალიზმის მშენებლობის გენიოსური ლენინური გეგმის თანმიმდევრობით განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და მშრომელებმა რ.კ.პ. (ბ) ხელმძღვანელობით, ახალი ეკონომიური პოლიტიკის 10 წლის განმავლობაში მიაღწიეს გადამწყვეტ გამარჯვებას მთელ ფრონტზე სოციალიზმისათვის ბრძოლაში. გასული ათი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავალი გაიზარდა 4-ჯერ, მრეწველობის საერთო პროდუქცია 12 ნახევარჯერ, ომის წინა დროის მრეწველობის დონე, რომელთან შედარებითაც მრეწველობა 1921 წელს ძლივს აღწევდა 20 პროც-ს, 1931 წელს სამჯერ იქნება გადაჭარბებული.

ინდუსტრიალური მუშების რიცხვი ათი წლის განმავლობაში 2,430,000-დან — 6,359000-მდე ავიდა. ნათესის მთელი ფართობი ამ 10 წლის განმავლობაში გაიზარდა ერთ-ნახევარჯერ. წელს კოლმეურნეობებში უკვე გაერთიანებული იქნება ჩვენი ქვეყნის გლეხურ მეურნეობათა ნახევარი მაინც, და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად კოლმეურნეობები უზრუნველჰყოფენ სოფლის სოციალისტურ ელემენტების აბსოლუტურ უპირატესობას ინდივიდუალურ სექტორთან შედარებით. რკინის გზების ტვირთბრუნვა 10 წლის განმავლობაში 6-ჯერ მეტად გაიზარდა, საქონლის ბრუნვა — ხუთ-ნახევარჯერ და სხვ.

ის გარემოება, რომ წელს უკვე ვამთავრებთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს, სავსებით ადასტურებს ლენინური პროგნოზის სისწორეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, რომ სწორ პოლიტიკას შედეგად მოჰყვება მოძრაობის ისეთი დაჩქარება, რომლის შესახებაც „ჩვენ ამჟამად ვერც კი ვიოცნებებთ“. ეხლა საბჭოთა კავშირი შევიდა სოციალიზმის პერიოდში და ამავე დროს ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელ პერიოდში.

საბჭოთა კავშირის მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრებას და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას, სოციალისტური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას დასახული ტემპებით მივყავართ ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელი პერიოდის დამთავრებამდე კაპიტალისტური ელემენტების სრულ ლიკვიდაციამდე ჩვენს მეურნეობაში და სოციალიზმის საბოლოო და სრულ გამარჯვებამდე საბჭოთა კავშირში.

მეორე ბოლშევიკური თესვა დაიწყო

სათავეში ჩაუდგეთ ღარიბ-საშუალო გლეხთა ახალი მასების დენას კოლმეურნეობებისაკენ. მოვაწესრიგოთ მინდვრად მუშაობა, საჩქაროდ დავამთავროთ სათესლე ფონდების შეგროვება და მთლიანად შევასრულოთ ნათესების კონტრაქტაციის გეგმა

გამანადგურებელი დარტყმით გავსტეხოთ კულაკთა, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტთა წინააღმდეგობა, რომელნიც აბრკოლებენ საგაზაფხულო თესვას და ჩაშლას უპირებენ საკოლმეურნეო მოძრაობას

უზრუნველვყოთ გამარჯვება თესვის ფრონტზე

ზოგიერთ რაიონებში და სოფლებში ხვნა-თესვა უკვე დაიწყო. კიდევ ერთი კვირა და თითქმის ყველა რაიონები დაიწყებს მასიურ თესვას.

საინტერესოა ვიცოდეთ, ვართ თუ არა მზად მინდვრად მუშაობისათვის, შევასრულეთ თუ არა თესვის მოსამზადებელი პერიოდის დავალებები და რამდენად უზრუნველვყავით დასახული გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

ადგილებიდან მიღებული ცნობები და თესვისათვის მზადების შემოწმების მასალები გვიჩვენებენ, რომ მოსამზადებელი პერიოდის სამუშაონი დღემდე მთლიანად არ შეგვისრულებია; არ არის დამთავრებული თესლის შეგროვება, მისი გაწმენდა - შეწამლა, არ დამთავრებულა მანქანა - იარაღების შეკეთება, მიწადმოწყობა, საწვავი მასალის მომარაგება, გეგმის მთესველებამდე დაყვანა და სხვა.

განსაკუთრებით ჩამორჩენილი მდგომარეობა გვაქვს **ბამბის** და **ჩაის** თესვისათვის მზადების დარგში. ბამბის ნათესების კონტრაქტაცია 20 მარტისათვის უნდა დამთავრებულიყო — ფაქტიურად ეს დავალება შესრულებულია მხოლოდ 50 პროცენტით. ჩაის საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები არ არიან მომარაგებული მუშა-ხელით, რაც საფრთხეს უქმნის დასახული გეგმის შესრულებას.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მინდვრად მუშაობის პროცესშივე გამოვასწოროთ ეს დეფექტები და უზრუნველვყოთ ხვნა-თესვის შეუფერხებლად წარმოება.

მთელი ძალები უნდა დავირაზმოთ იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა არა მარტო შეასრულონ დასახული გეგმები, არამედ უდიდესი დახმარება გაუწიონ საგაზაფხულო თესვის საქმეში მათს ირგვლივ მყოფ ღარიბსა და საშუალო გლეხებს.

ადგილებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ კულაკობა არ აპირებს თესვის დარგში მიცემულ მტკიცე დავალებების შესრულებას. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც კულაკები და შეძლებული მეურნეობები ბამბისათვის გამოყოფილ ნაკვეთებში იჭრებიან და თვითნებურად სთესენ მარცვლეულ კულტურებს (ყარაია, ბორჩალო).

ეს ამტკიცებს იმას, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები სათანადო წინააღმდეგობას არ უწევენ კულაკებს და ადგილი აქვს გეზის აღებას ოპორტუნისტულ თვითდინებაზე. მხოლოდ კულაკების და მემარჯვენე - „მემარცხენე“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ დაუნდობელი და შეუბრალებელი ბრძოლით შეიძლება საგაზაფხულო კამპანიის სიძნელეების გადალახვა და თესვის გეგმის შესრულება.

თესლის შეგროვების დაუმთავრებლობა უდიდეს დაბრკოლებას ქმნის თესვის დროზე დაწყების მხრივ. ამ საკითხს ახლავე უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება: სათესლე ფონდების შეგროვება, მისი ჯიშიან სათესლე მასალაზე გადაცვლა, თესლის გაწმენდა და შეწამლა დაუყოვნებლივ უნდა დამთავრდეს.

უნდა მოხდეს გარდატეხა საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადების საქმეში. უნდა გაიშალოს მასიური ახსნა - განმარტებითი კამპანია კონტრაქტაციის პირობების გასაცნობად ღარიბ, საშუალო გლეხთა და კოლმეურნეთა მასისათვის და სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ კულაკებს, რომელნიც სახელს უტეხენ კონტრაქტაციას და ყოველმხრივ აბრკოლებენ მის გაშლას.

დიდს თესვისათვის ჩამორჩენას აქვს ადგილი საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობებში. განსაკუთრებით ჩამორჩენილია ბოსტნეულის თესვა, რაც გამოწვეულია უმთავრესად თესლის ნაკლებობით. ეს დაბრკოლება დაკვრითი წესით უნდა იქნას დაძლეული.

გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული მანქანა - იარაღების მთლიანად დასატვირთავად. საჭიროა აგრეთვე მუშა - საქონლის კვების გაუმჯობესება, მათი კოლონების შედგენა და ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალურად გამოყენება.

დავირაზმოთ მთელი ძალები და უზრუნველვყოთ გამარჯვება თესვის ფრონტზე.

ირ.

მინდვრათ მუშაობა იწყება

(გარე-კახეთი)

5 მარტიდან გარე-კახეთის რაიონში მიწების მოხვნა დაიწყო. ტრაქტორები პირველ რიგში გადასროლილ იქნენ, საბამბე უბანში. 12 მარტისათვის საბამბეთ მოხნულია 26 ჰექტარი. სამწუხაროდ 3 ტრაქტორი ვერ აღმოჩნდა სათანადოთ შეკეთებული, რის გამოც მუშაობა გასცდა.

სარაიონო შტაბმა გაგზავნა კომისია გაცდენის შესამოწმებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. მინდვრათ მოწყობილია აგრეთვე მოძრავი სახელოსნო. საერთოდ რაიონში ხვნა წარმატებით მიმდინარეობს.

ნამყენი ვაზი გვაკლდება

გარე-კახეთში ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე მევენახეობის განვითარებას. გაზაფხულის სას. სამ. კამპანიის გეგმის მიხედვით რაიონში უნდა გადაბრუნებულიყო სავენახეთ 60 ჰექტარი, ფაქტიურად ამ ჟამად გადაბრუნებულია რაიონში 100 ჰექტარამდე; ცენტრიდან ნამყენი ვაზის მოწოდების საქმე არასასურველ მდგომარეობაშია, რადგანაც ძალიან ნაკლები სივრცისათვის გვპირდებიან ნამყენი ვაზის მოცემას.

ხელისუფლების სათანადო ორგანოების მიერ აკრძალულია ადგილობრივი ჯიშის ვაზის გაშენება, რადგანაც რაიონში გავრცელებულია ფილოქსერა. ნამყენი ვაზის ჩაყრის საშუალება კი მთელ გადაბრუნებულ სივრცეზე არა გვაქვს; სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული ზომები ვაზის ნერგის შესაძენად.

საქ. მიწსახკომის სატრაქტორო კოლონა

ჩაის თესვისათვის მზადებაში ფართოდ გამოვიყენოთ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა

მხოლოდ ბოლშევიკური ტემპებით შეიძლება ჩაის თესვის გეგმის შესრულება

არ არის მუშა-ხელი და ტრანსპორტი

(მარტვილი)

მარტვილის რაიონში, მიწის საზოგადოთ, დასამუშავებელ ამხანაგობებმა მიმდინარე გაზაფხულზე უნდა გააშენონ ჩაის ახალი პლანტაცია 185 ჰექტარზე, პირველ მარტისათვის ეს გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 9,5 პროცენტით, ე. ი. ჩაის დასათესათ დამუშავებული იყო 17,7 ჰექტ.

10 მარტისათვის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 15 პროცენტით. ამ ჩამორჩენის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს მუშა ხელის სიმცირე. გეგმით ჩაის საბჭოთა მეურნეობაში უნდა მუშაობდის 2.300 კაცი, სინამდვილეში მუშაობს მხოლოთ 700 კაცი. მუშა ხელის სიმცირესთან ერთად გეგმის შესრულებას აბრკოლებს მომარაგების მოუწესრიგებლობაც. ძალზედ სუსტია საექიმო დახმარების საქმე; არაა მოგვარებული ტრანსპორტის და სხ. საკითხი.

სამეურნეო ორგანიზაციები და პროფკავშირები საკმაოდ არ არიან დარაზმული ჩაის გეგმის შესასრულებლათ. საჭიროა მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელათ და გეგმის ასი პროცენტით შესასრულებლათ.—

გრ. უჩანეიშვილი

კოლმეურნეობათა კავშირს სძინავს

(ჩხოროწყუ)

მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის განმავლობაში, ჩხოროწყუს რაიონში ჩაი უნდა გაშენდეს 400 ჰექტარზე; დღემდე კი გაშენებულია მხოლოდ 20 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 5 პროცენტით.

გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ადგილობრივი ორგანიზაციების უმოქმედობით. განსაკუთრებით რაიკოლმეურნკავშირისა და რაიმიწადმოქმედი განყოფილების სუსტი მუშაობით.

რაიკომმა გამოიტანა დადგენილება შაბათობის მოწყობის, დამკვრელ ბრიგადების სოფლებში გაგზავნის და სხვა ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

რაიკოლმეურნეობათა კავშირს და მიწადმოქმედების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩაის თესვის საკითხებს. რაიკომის ღონისძიებანი ჩაის თესვის შესახებ უნდა გატარდეს თავის დროზე და მთლიანად.

ვ.

ლენრაიკომი ეხმარება ჩაის საბჭოთა მეურნეობებს

„საქართველოს ჩაი“-ს არ მოეპოვება თავისი საკუთარი კადრი წვრილი სას.-სამეურნეო ინვენტარის შესაკეთებლად. ადგილებზე კი ხშირად მუშაობა ფერხდება იმის გამო, რომ დაზიანებული ინვენტარის შესაკეთებელი სახელოსნო არ არის.

საქ. კ.პ. (ბ) ლენრაიკომმა გამოყო მუშათა ბრიგადა 10 ამხანაგის შემადგენლობით, რომელნიც მიავლინა „საქართველოს ჩაი“-ს განკარგულებაში. „საქართველოს ჩაი“-მ აღნიშნული ბრიგადა უკვე გაგზავნა ჩაის ხუთ საბჭოთა მეურნეობაში, ე. ი. თვითეულ მეურნეობას გაუგზავნა ერთი ზეინკალი და ერთი მჭედელი.

ლენრაიკომის ამ სამაგალითო ნაბიჯს უნდა მიბაძონ სხვა რაიონებმაც.

ვ—ა.

საჭიროა დამკვრელი ტემპები

(ლანჩხუთი)

ლანჩხუთის რაიონში, მიწების დამუშავება ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად, ნელი ტემპით მიმდინარეობს; მუშაობაში არ არის აღებული ნამდვილი დამკვრელი ტემპები.

მიწების დამუშავების საქმეში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ: ნიგვზიანის, ჯურუყვეთის, ლანჩხუთის, ნინოშვილის და ჩიბათის კოლმეურნეობები. ამ კამპანიის ჩატარებაში გულგრილობას იჩენენ უბნის აგრონომები, რომლებსაც ჩაის დასათესი ფართობი მთლიანად არ აქვთ გამორკვეული. ეს კი იწვევს სამუშაოზე გასულ კოლმეურნეთა გაცდენას.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ ჩაის დასათესათ ირჩევა ჯაგნარიანი მიწის გამოუსადეგარი ფართობი,—ეს იმ დროს, როდესაც ლანჩხუთის რაიონში უფრო საუკეთესო მიწები მოიძებნება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამ. კოოპერაციამ პლანტატორებისათვის სურსათის მიწოდების საქმეში სრული უმოქმედობა გამოიჩინა, რასაც ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება.

რაიონში ტრაქტორით დასამუშავებელია 200 ჰექტარი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის ტრაქტორის უქონლობის გამო არც ერთი ჰექტარი არ არის მოხნული.

გრიშ—ლი.

პირუტყვი ანადგურებს ჩაის ნათესებს

(სოფ. უშაფათი, სენაკის რაიონი)

უშაფათში და მის თემში მრავალი ჩაის კოლმეურნეობები არსებობს. გლეხობა დიდის მონდომებით და ინიციატივით კიდებს ხელს ჩაის მეურნეობას. მაგრამ სამწუხაროდ ადგილობრივი სამეურნეო, საბჭოთა ორგანიზაციები და კოლმეურნეობები ყურადღებას არ აქცევენ ჩაის ნათესების პირუტყვისაგან დაცვას.

ჩაის ნათესები უმთავრესად შემოუღობავია, თხა და ძროხები თავისუფლად დადიან ჩაის ნათესებში და ანადგურებენ მას. კოლმეურნეობათა გამგეობები „საქართველოს ჩაი“-დან მოელიან ეკლიან მავთულს და ამ „მოლოდინში“ ყურადღებას არ აქცევენ ჩაის პლანტაციის შემოღობვას ადგილობრივი საშუალებებით. აგრონომ-ტეხნიკი —**ამხ. საბახტარიშვილი** არავითარ ზომებს არ ღებულობს ჩაის ნათესების დასაცავად.

მოვითხოვთ ამ საქმისათვის სერიოზულ ყურადღების მიქცევას, დამნაშავეთა დასჯას და ჩაის პლანტაციის მოვლის და დაცვის გაუმჯობესებას.

მ. ქ—რია.

ჩამორჩენას ბოლო უნდა მოუღოთ

(თელავი)

რაიონში საგაზაფხულო ხვნა-თესვა უკვე დაიწყო. უკანასკნელ დღეების საუცხოო ამინდმა ხელი შეუწყო მინდვრად მუშაობის დაწყებას.

საგაზაფხულო სას. სამ. კამპანიის სარაიონო შტაბის მოხსენების გამო რაიონის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გამოტანილ დადგენილებით დასტურდება, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანიის დაწყებას რაიონი ვერ შეხვდა მომზადებულად და რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვა რაიონში საგრძნობი დაგვიანებით იწყება.

განსაკუთრებით ჩამორჩა სათესლე მასალის დაგროვება მთელს რაიონში. ა-წ. 10 მარტს კოლმეურნეობებისათვის საჭირო სათესლე მასალა მხოლოდ 66 პროცენტით არის შეკრებილი. დამზღვევი 15 პროცენტიანი სათესლე ფონდის საკონტროლო ციფრი კი შესრულებულია 31,6 პროცენტით.

რაც შეეხება სათესლე მასალის გადაცვლას, ამ მხრივ სარაიონო გეგმა 50 პროცენტით უკვე ჩაშლილია. 10 მარტამდის სათესლე ხორბალი გადაცვლილია მხოლოდ 40 ცენტნ. რაოდენობით.

რაივენახილკავშირის უყურადღებობის გამო სრულიად ჩაიშალა აგრეთვე გეგმით გათვალისწინებული მუშა-საქონლის ორი კოლონის მოწყობის საქმე. არავითარი პრაქტიკული ღონისძიება არ არის ჩატარებული იმავე კავშირის ხაზით მუშა საქონლის საკვების მომარაგების მხრივ, რაც საკვების მწვავე კრიზისის პირობებში, საგრძნობლად აბრკოლებს საგაზაფხულო ხვნა-თესვის მიმდინარეობას.

10 მარტისათვის რაიონში ჯერ არც ერთი საკონტრაქტაციო ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული მარცვლეულ კულტურებზე, არც ერთი ფუთი სათესლე ხორბალი არ ყოფილა შეწამლული და არავითარი მოსამზადებელი მუშაობა არ ჩატარებულა ნათესობის მავნებლებისაგან დაცვის საქმის ორგანიზაციისათვის.

მევენახეობის აღდგენისათვის სარაიონო გეგმით გათვალისწინებული მოსამზადებელი მუშაობა რაიონში ჯერ თითქმის არ დაწყებულა. გამონაკლისს შეადგენს თვით რაიაღმასკომის საბჭოთა მეურნეობა, სადაც გეგმა წარმატებით სრულდება. კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებში მევენახეობის დარგში, ჯერ-ჯერობით თითქმის, არაფერი არ გაკეთებულა.

რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ დეფექტების და ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსასწორებლად. საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია თესვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ლიბანელი.

თესლი არ არის

(წერილი სიღნაღიდან)

გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის სიღნაღის რაიონში ჯერ კიდევ ვერაა ამოქმედებული მთელი მშრომელი მასა. ხვნა უკვე დაიწყო, მაგრამ თესლის საკითხი ვერაა მოგვარებული. ამჟამად უნდა მიმდინარეობდეს თესლის დახარისხება და შეწამლვა, რაიონში კი ჯერ თესლის შეგროვება არაა მოთავებული.

კოლმეურნეობებში სათესლე ფონდი შეგროვილია მხოლოდ 84,2 პროც. (უნდა შეგროვილიყო 4.000 ფ., შეგროვილია—3374 ფ.) პროცენტიანი დასაზღვევი ფონდი უნდა აიკრიფოს 600 ფ. აკრეფილია—38 ფ. განსაკუთრებით, სერიოზული მდგომარეობაა კართოფილის და ლობიოს თესლის შეგროვების მხრივ. კართოფილი უნდა აიკრიფოს—5200 ფ., შეგროვებულია—382 ფუთი (7,4 პროც.).

ს. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის დადგენილებით რაიონში გამოცხადდა თესლის შეგროვების დამკვრელი ათდღიური; საჭიროა ავამოქმედოთ მთელი ძალები, მწვავეთ დავარტყათ მემარჯვენე - ოპორტუნისტულ პრაქტიკას, რომელნიც ხელს უშლიან თესლის შეგროვებას.

ქ—ლი.

როგორ ვემზადებით

(წერილი შირაქის ველიდან)

გაზაფხულის სასოფლო-სამ. კამპანიის ჩამტარებელ შტაბის მიერ შირაქის რაიონში აღრიცხულ იქნა ყველა მანქანა-იარაღები. ამ მანქანა-იარაღების შესაკეთებლად მობილიზაცია იყო შირაქის ნავთის საწარმოების მუშებს და სპეციალისტებს. შესდგა შემკეთებელი ბრიგადები და დაკვრითი წესით იქნა შეკეთებული ყველა დაზიანებული ინვენტარი.

წელს, შირაქის რაიონში, მარცვლეული დაითესება სულ 2.598 ჰექტარზე. აქედან განსაზოგადოებულ სექტორში (7 კოლმეურნეობა) 726 ჰექტარი და ინდივიდუალურ სექტორში კი 2.272 ჰექტარი.

გაზაფხულის თესვასთან დაკავშირებით შირაქში სულ ჩამოყალიბდა 12 ახალი კოლმეურნეობა; ახალ კოლმეურნეობებში გაერთიანდა 450-ზე მეტი საშუალო და ღარიბი გლეხი. ახალ კოლმეურნეობებში ამჟამად მიმდინარეობს სათესლე ფონდების შექმნა, საწარმოო საშუალებების განსაზოგადოება, მიწათ-მოწყობა და სხ. რაც შეეხება ძველ კოლექტივებს, ისინი უკვე მზად არიან თესვისათვის.

წითელ-წყაროში სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით ეწყობა მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობის მოსაწყობად წინასწარი სამუშაოები უკვე დამთავრებულია.

შირაქის რაიონში სულ 4034 მუშა საქონელია. თესვის კამპანიის ჩამტარებელ შტაბის ცნობებიდან სჩანს, რომ მუშა საქონლის მაქსიმალური დატვირთვით გამოყენება შეუძლებელია, რადგანაც საქონელი ცუდი კვების გამო დავარდნილია.

მინდვრის მავნებლებთან საბრძოლველად კოლმეურნეთა და ღარიბ, საშუალო გლეხთა მასები უკვე დარაზმულია. 15—25 მარტი გამოცხადებულია მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის ათდღიურად.

აღსანიშნავია აგრეთვე ნაკლიც: ძალზე სუსტად მიმდინარეობს დამზღვევი სათესლე ფონდის შეგროვება, როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ სექტორში. წითელ-წყაროში სათესლე მასალა უნდა აკრეფილიყო 250 ცენტნერი, აქედან 10 მარტისათვის შეკრებილი იყო მხოლოდ 60 ცენტნერი. ზემო-ქედში, არხილოს კალოში და ქვემო ქედში 15 პროცენტიანი სათესლე ფონდის შეგროვება ჯერაც არ დაუწყიათ.

სასოფლო - სამეურნეო საწარმოო თათბირები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ გაზაფხულის თესვის კამპანიისადმი. თესვისათვის მზადება ამ თათბირების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს.

გარდა ამისა, საკმარისად არ არის მომარაგებული, სათესლე მასალაც. თესლის უქონლობის შესახებ თავის დროზე ეცნობა სიღნაღის რაიონის სამიწათმოქმედო ორგანოს, მაგრამ სოფლის საბჭოებს პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

ყველა ეს ნაკლოვანება დაუყოვნებლივ უნდა გასწორდეს, თორემ გაზაფხულის თესვის გეგმა შირაქის ველზე ვერ შესრულდება დროზე და მთლიანად.

მოხევე.

საგაზაფხულო ხვნა სამთავისის კომუნაში

თესვა საფრთხეშია

მიმდინარე წლის გაზაფხულზე აჭარისტანში უნდა დაითესოს: სიმინდი—14.030 ჰექტ., ბრინჯი—300 ჰექტ., თამბაქო—800 ჰექტ., არახისი—200 ჰექტ., სოია—2.500 ჰექტ., რამი და სელი—17 ჰექტ., ეთეროვანი მცენარენი 130 ჰექტ., ბალახი—1000 ჰექტ., ჩაი—1.350 ჰექტ.; ამის გარდა უნდა გაშენდეს: ვენახი—15 ჰექტარზე, ხეხილის ბაღები—91 ჰექტ., ბამბუკი—50 ჰექტ., ტუნგის ხე—200 ჰექტ., ციტრუსები—418 ჰექტ., თუთის ხე—190 ჰექტ., მიმოზები—200 ჰექტ.

გეგმა ითვალისწინებს მარცვლოვანი და ცერცოვანი კულტურების ზრდას 2,3 პრ. თუ ამ კულტურებს 1930 წელში ეკავათ 17.185 ჰექტ., წელს მათ დაეთმობათ 17.588 ჰექტ.

ტეხნიკური კულტურების ზრდა გათვალისწინებულია 295 პროც., 923 ჰექტარის ნაცვლად (1930 წელს), მათ დაეთმობა 3.647 ჰექტარი.

ბოსტნეულობის ფართობის ზრდა გათვალისწინებულია 80,1 პროც. ნაცვლად გასული წლის 749 ჰექტარისა. ბოსტნეულობა გაშენდება 1.260 ჰექტარზე.

მესაქონლეობისათვის საკვები ბაზის შესაქმნელად, ნათესი ბალახების არე გაიზრდება 107,8 პროც. ბალახები გასულ წელს გაშენებული იყო 673 ჰექტარზე, გაზაფხულის გეგმა ითვალისწინებს 1399 ჰექტ. დათმობას ნათესი ბალახებისათვის.

მთლიანად ნათესი ფართობის ზრდა აჭარისტანში, გასულ წელთან შედარებით, გათვალისწინებულია 25 პროც. შარშან დამუშავებული იყო 20.904 ჰექტარი, მიმდინარე წელს უნდა დამუშავდეს 26.463 ჰექტარი; აქედან: საბჭოთა მეურნეობებში—1428,5 ჰექტარი, კოლექტიურ მეურნეობებში—2143 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში—22891,5 ჰექტარი.

თესლი არ არის

აჭარისტანის მიწსახკომის ცნობით, ადგილზე არის დამზადებული შემდეგი თესლეული: არახისი—70 ფუთი, კართოფილი—20.000 ფუთი და ბრინჯი—1.500 ფუთი. არის აგრეთვე ნერგები ციტრუსოვანი მცენარეების მოსაშენებლად.

სხვა არავითარი თესლეულისა აჭარისტანში არ მოიპოვება.

იმისათვის, რომ გაზაფხულის თესვის გეგმა შესრულებული იქნეს, საჭიროა შემდეგი თესლეულობის შემოზიდვა: სოია—125.000 კილოგრ., არახისი—12.000 კ., ბრინჯი—24.000 კილ., ბალახეულისა—14.600 კ., ლობიო—36.000 კილ.; ბოსტნეულისა—1.560 კ., კართოფილი—12.000 ფუთი; შემოსაზიდია აგრეთვე: ვაზი—75.000 ცალი, ხილეულობის ნერგი—13.000 ცალი და თუთის ხის ნერგი—120.000 ცალი.

აჭარისტანის მიწსახკომმა ამას წინად მიავლინა თბილისში პასუხისმგებელი ამხანაგები იმის გამოსარკვევად, თუ როდის იქნება გადმოგზავნილი თესლეული თბილისიდან აჭარისტანში. მივლინებულმა ამხანაგებმა შემოიარეს საქ. მიწსახკომი, ღვინოხილკავშირი, მემინდვრეობის კავშირი და ვერ გამოარკვიეს, თუ რა თესლი, და რა რაოდენობით შეიძლება გასცენ ხსენებულმა ორგანიზაციებმა აჭარისტანისათვის.

ამრიგად, აჭარისტანმა არ იცის, თუ რა მიეცემა მას, „იმ შემთხვევაში—აცხადებენ აჭარ. მიწსახკომში და კოლმეურნეობათა კავშირში—თუ თბილისმა მოგვცა თესლი, გეგმა შესრულებული იქნება, თუ თესლი არ მოგვცა, მაშინ გეგმა ხელმეორედ უნდა გადავათვალიეროთ“.

ზოგიერთი თესლეული, რომელიც საჭიროა აჭარისტანისათვის, მოიძებნება ადგილობრივ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად უმაღლეს ორგანოების მითითებისა, აჭარისტანში **არ სწარმოებს სათესლე ფონდის შექმნა.** მხოლოდ ქობულეთის რაიონმა შესძლო ამ ფონდის შექმნა, სხვა რაიონებში კი ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა.

არც მიწსახკომმა, არც კოლმეურნეობათა კავშირმა არ იციან, თუ რა თესლეულის მარაგია ადგილობრივ და რა მდგომარეობაშია ეს თესლი.

მიწსახკომი აცხადებს, რომ „ადგილების ცნობით რაიონებში მოიპოვება 20.000 ფუთი სათესლე კართოფილი“, არის თუ არა სინამდვილეში ეს კართოფილი, დანამდვილებით არავინ იცის.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გაზაფხულის თესვის საქმე აჭარისტანში სდგას რეალური საფრთხის წინაშე. ამ გეგმას მოელის ისეთივე ბედი, როგორიც განიცადა შემოდგომის თესვამ თესლის უქონლობის გამო.

გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადა.



პირველი ხვნა ბამბისათვის (შულავერში)

თესვა დაიწყო

(ავჭალა)

ავჭალისა და მამკოდის სასოფლო საბჭოში შედის 15 სოფელი. სოფლებში საგაზაფხულო თესვისათვის სამზადისი დაიწყო 10 იანვრიდან. სოფლებში მიმაგრებული იქნენ 6 მუშები და პარტკომკავშირის აქტივი 50-მდე კაცის რაოდენობით.

გეგმები კარგა ხანია, რაც დაყვანილია კოლმეურნეობამდე და სოფლამდე, 1-ლ თებერვლისათვის კი დამთავრდა გეგმების ინდივიდუალურ მეურნეობებამდე დაყვანა.

აღსანიშნავია კოლმეურნეთა ინიციატივა ნათესების სივრცის გაფართოების საქმეში. თბილისის რაიონის მიერ აღნიშნულ სას.-საბჭოზე საკონტროლო ციფრი მიცემული იყო 803 ჰექტ., კოლმეურნეებმა წამოაყენეს შემხვედრი გეგმა 884 ჰექტ. რაოდენობით.

ხსენებულ სასოფლო საბჭოში უკვე დაიწყო ხვნა-თესვა. ხვნა მასიურად დაიწყო თითქმის ყველა სოფელში. ავჭალის კოლექტივმა „ლენინიზმმა“ უკვე მოათავა გაზაფხულის თესვა, თესვა დაიწყო აგრეთვე მამკოდაში, ზემო-ავჭალაში, გლდანში და სხვ.

ფართოდ არის გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. ამ მხრივ მისაბაძი მაგალითი მოგვცა მამკოდის—ამხ. სუხიშვილის სახ. და სოფ. გლდანის კოლმეურნეობებმა. ამ კოლექტივებში მიწების მოხვნა სწარმოებს ჯგუფური წესით.

დასასრულ, ისიც აღსანიშნავია, რომ მანქანა-იარაღები მთლიანად არ არის შეკეთებული. სოფ. გლდანში ჩამოვიდა ნატახტარის წყალსადენის მუშათა ბრიგადა, რომელიც მხოლოდ 3 დღე დარჩა. ბრიგადამ მოასწრო მხოლოდ კოლექტივების მანქანა-იარაღების შეკეთება.

გარდა ამისა, რაიონში მცირდება ბალახეულის თესვის გეგმაც. საკონტროლო ციფრით უნდა დათესილიყო 80 ჰექტ. ბალახი, მაგრამ თესლის უქონლობის მიზეზით მხოლოდ 44 ჰექტ. ითესება.

საჭიროა მიწსახკომმა დროით მიაწოდოს ავჭალისა და მამკოდის სასოფლო საბჭოს ბალახის თესლი.

გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადა

თესლეულის გადმოტვირთვა სენაკის რაიონის კოლმეურნეობებისათვის

თესლის შეგროვება იგვიანებს

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ოზურგეთის რაიონში სათესლე მასალის შეგროვების გაწმენდის და შეწამვლის კამპანია სუსტად მიმდინარეობს. 4.152 ფუთი სათესლე მასალიდან შეგროვილია მხოლოდ 3.580 ფუთი. თესლი გაწმენდილია—577 ფუთი, შეწამლულია 1.170 ფუთი. **არის ისეთი თემები, სადაც სრულებით არ არის შეგროვილი სათესლე** მასალა, (შემოქმედი, დვაბზუ, კონჭკათი და მიქელ-გაბრიელი).

განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს ბოსტნეულის თესლის შეგროვების საქმე, რაც საფრთხეს წინაშე აყენებს საგაზაფხულო თესვას. სათესლე მასალის შეგროვების და გაწმენდის საქმეს, საჭიროა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ტ. აცანელი

თესვის ნაკლებობა საფრთხეს გვიქადის

გარე-კახეთის რაიონი განიცდის სათესლე მასალის დიდ ნაკლებობას, რაც საფრთხეს უქადის გაზაფხულის თესვის წარმატებით ჩატარებას. მიუხედავად მთელი რიგი ზომებისა, თესლეულის ადგილობრივ დამზადების დარგში, მაინც ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგებს. გაზაფხულის სათესლე პური „პოლშოლა“ ადგილობრივ არ არის საკმარისი რაოდენობით.

რაც შეეხება ბოსტნეულის თესლეულს, ამ მხრივ განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობას აქვს ადგილი. რაიონში არსებული კოლმეურნეობანი სრულებით არ ყოფილან მომარაგებულნი ბოსტნეულის თესლით, გარდა ამისა არსდება მთელი რიგი ახალი ქალთა მარტივი ამხანაგობანი, რომელთაც მიზნათ აქვთ უმთავრესად მებოსტნეობის განვითარება.

რესპუბლიკანურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები რაიონისათვის თესლის დროზე მოსაწოდებლად.

გარეჯელი.

თესვის ფრონტიდან

ვსტეხთ განგაშს

ჩოხატაური, 19 მარტი. ჩოხატაურის რაიონის, ერკეთის პარტორგანიზაცია სტეხს განგაშს მეორე ბოლშევიკური საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის და [illegible], ჩაის თესვის საკონტროლო ციფრების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

კოლმეურნეობები მტკიცედ არიან დარაზმულნი ამ გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელიც მიღებულია ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ.

ერ—კ.

ხვნა დაიწყო.

გურჯაანი, 19 მარტი. (საკ. კორ.). ს. ველისციხეში ხვნა 2 მარტიდან დაიწყო. ყოველ დღე 20—30 გუთანი მუშაობს.

გურჯაანის რაიონში 1 მარტიდან—10 მარტამდე გამოცხადებული იყო დამკვრელ ათდღიურათ; ამ ხნის განმავლობაში წინ წაწეულმა სას. საბჭოებმა საზოგადოებრივ ბუქსირზე აიყვანეს საგაზაფხულო კამპანიის საქმეში ჩამორჩენილი სოფლები.

მინდვრათ მუშაობის დროს კოლმეურნენი და ღარიბ-საშუალო გლეხები [illegible], რასაც დიდი შედეგი მოგვცა.

უნდა აღინიშნოს, რომ გამწევი ცოცხალი ძალა არ არის საკვები მასალით მომარაგებული; მთლიანად არ იყო შეკეთებული სას. სამ. იარაღ-მანქანები. კოოპერაცია საწვავი მასალის მომარაგების საკითხში ძალზე მოისუსტებს.

ზარანდია.

მანქანა - იარაღების შეკეთება არ დაუწყიათ

ტყიბული, 19 მარტი. (საკ. კორ.). თესვის დრო დადგა, თესლით კი რაიონი ჯერაც არ არის მომარაგებული; **ბოსტნეულის და საკვები ბალახის თესლეული სრულიად არ მოიპოვება.**

ხეხილის ბაღების გასაშენებლად დამუშავებულია 200 ჰექტარზე მეტი მიწა, მაგრამ სანერგეები კი არსად სჩანს.

უნდა აღინიშნოს, რომ **ჯერ კიდევ არ დაწყებულა სას. სამ. იარაღ-მანქანების შეკეთება.** კოლმეურნეობები განიცდიან ხელსაწყო იარაღების დიდ სიმცირეს; საკმარისად არ არის აგრეთვე გუთნები და სათესი მანქანები.

საჭიროა სას. სამ. კოოპერაციამ მიიღოს ზომები მანქანა-იარაღების და თესლეულის მომარაგების შესაძენად.

ლ. ჯავახაძე.

როგორ ტარდება კონტრაქტაცია

ლანჩხუთი, 19 მარტი (საკ. კორ.). ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში უკვე დაკონტრაქტებულია კენაფი—2400 ჰექტარზე, საკ. ციფრი შესრულებულია 100 პროცენტით. კოლმეურნეობათა ცენტრის ხაზით დაკონტრაქტებულია სათესლე ფონდისათვის 1000 ჰექტ. სიმინდი, 1106 ჰექტ. სოია და 25 ჰექტ. არახისი.

კოლმეურნეობებში დაკონტრაქტებულია: სიმინდი—4000 ჰექ., სოია—5000 ჰექ., კანაფი—200 ჰექ., ლუფა—40 ჰექ., ბრინჯი—75 ჰექტ., კარტოფილი—75 ჰექ. და ბოსტანი—50 ჰექტარი. ინდივიდუალურ მეურნეობებში კი კონტრაქტაცია ჩაუტარებელია 500 ჰექტ. სიმინდზე და 500 ჰექტ. სოიაზე.

კონტრაქტაციის დროულად და შეუფერხებლად ჩატარებას ხელი შეუშალა სათანადო პირობების დროზე მიუღებლობამ.

გერ.

თესვას ჩაშლა მოელის

სამტრედია, 18 მარტი. (საკ. კორ.). სამტრედიის რაიონში გაზაფხულის თესვის კამპანიას ჩაშლა მოელის; გეგმები ძალზე დაგვიანებით იქნა დაყვანილი სოფლამდე, უბნამდე და კოლმეურნეობამდე (სამტრედია, ჯიხაიში, უწერი და ბაში).

ტექნიკური კულტურების თესლი არ მოიპოვება. სიმინდის სათესლე ფონდი არ არის შეგროვილი კოლმეურნეობებში, ასეთივე მდგომარეობაა, ინდივიდუალურ სექტორში, დასაზღვევი ფონდი 14 მარტისათვის შეგროვილი იყო მხოლოდ 30 პროც.

სას. სამ. იარაღ-მანქანების მომარაგებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. რაიკავშირი აჭიანურებს გუთნების და მანქანა-იარაღების დანიშნულებისამებრ განაწილებას.

მთესველთა ჯგუფები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.

სამტრედიის პარტრაიკომის ბიურომ, გაზაფხულის თესვისათვის მომზადება არადამაკმაყოფილებლად სცნო. ბიურომ სამუშაოდან მოხსნა სამტრედიის საბჭოს თავმჯდომარე — ამხ. რევიშვილი და უწერის სას. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პაქავა.

ა. კირცხალია.

დენა კოლმეურნეობებისაკენ

წალენჯიხა, 20 მარტი. საგაზაფხულო სას. სამ. კამპანიასთან დაკავშირებით წალენჯიხის რაიონში გაძლიერდა ღარიბ და საშუალო გლეხების დენა კოლმეურნეობებში.

ჭალეს თემი მთლიან კოლექტივიზაციაზე გადავიდა; ეწერში დაარსდა ახალი სას. სამ. არტელი—500 წევრის შემადგენლობით. სოფ. ფუქის ღარიბ, საშუალო გლეხები ერთხმად აცხადებენ სურვილს კოლმეურნეობებში გაერთიანებაზე. საჩინოს თემში დაარსდა ორი ახალი სას. სამ. არტელი.

თესვისათვის მზადება კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს; სას. სამ. იარაღ-მანქანები შეკეთებულია; კოლმეურნეობები მჭიდროდ არიან დარაზმულები გაზაფხულის თესვის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

გრ. ხაინდრავა.

მიწად - მოწყობა უნდა დაჩქარდეს

ლიხაური, 19 მარტი. ლიხაურის მთლიან კოლექტივიზაციის თემში (ოზურგეთის რაიონი), საწარმოო გეგმის მიხედვით, მიმდინარე გაზაფხულზე უნდა დაითესოს სხვადასხვა კულტურების ქვეშ 844 ჰექტარი მიწის ფართობი.

გეგმით თემში უნდა ავაშენოთ სამჭედლო, რომელიც სრულ შესაძლებლობას მოგვცემს დროულად შევაკეთოთ სას. სამ. იარაღ-მანქანები. სას. სამ. არტელი განიცდის თესლეულის ნაკლებობას, არა გვაქვს ნერგები; **არ არის ჩატარებული მიწად-მოწყობა**, რაზედაც ოზურგეთის მიწადმოქმედების განყოფილებამ დროზე უნდა იზრუნოს.

სას. სამ. არტელში ფართოდ გაშლილია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. 5 წლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ლიხაურის კოლმეურნეობა გამოცხადებულია დამკვრელად.

ალ. ურუშაძე.

აბაშის სატრაქტორო სადგური ამზადებს სათეს მანქანებს.

ბამბის კონტრაქტაციას ჩაშლა მოელის

20 მარტისათვის ბამბის ნათესების კონტრაქტაციის გეგმა შესრულებული იყო—სიღნაღის რაიონში 40,2 პროცენტით, გურჯაანის რაიონში 38,2 პროც. და ლიუქსემბურგის რაიონში 42,6 პროცენტით

ბრძოლა ბამბისათვის

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მიმდინარე გაზაფხულზე უნდა დაითესოს ბამბა—6000 ჰექტარზე, გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს.

10 მარტისათვის მეურნეობას მოხნული ჰქონდა 3700 ჰექტარი მიწის ფართობი, რაც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. მიზეზი ამისა ის არის, რომ **ტრაქტორებისათვის ხშირად საწვავი მასალა აღარ მოეპოვებათ**, არ სწარმოებს საწვავი მასალის დაზოგვა და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ასეთ სერიოზულ საქმის შესრულებისათვის პროფკავშირებს დიდი მოვალეობა აქვთ დაკისრებული. ბამბის საბჭოთა მეურნეობის მუშკომმა კი დღემდის სათანადოთ ვერ გაშალა სოცშეჯიბრება და დამკვრელობა; მუშათა შორის არ სწარმოებს კულტურულ - განმანათლებელი მუშაობა და სხვ. თქმა არ უნდა, ამაში ნაწილობრივად დანაშაული მიუძღვის სიღნაღის რაიპროფკავშირს, რომელსაც სისტემატიური კავშირი არ აქვს მეურნეობასთან და ხელმძღვანელობას არ უწევს მუშკომს.

საჭიროა მიღებული იქნას ყველა საჭირო ზომები, რათა 6000 ჰექტარი მიწა თავის დროზე იქნას მოხნული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საფრთხის წინაშე დავდგებით,—ბამბას დროზე ვერ დავთესავთ.

ქიზიყელი.

ჯილდო საუკეთესო მებამბეებს

საქართ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ბორჩალოს და ყარაიას რაიონების საუკეთესო მებამბე გლეხებს, რომლებმაც უკეთ ჩაატარეს ბამბის ავრალი და 1930 წლის 1 დეკემბრამდე ჩააბარეს დაკონტრაქტებული ბამბის მთელი რაოდენობა, **ჯილდოთ ეძლევათ 3000 მანეთი. ბორჩალოს რაიონში დაჯილდოებული იქნება 27 ბამბის მთესველი**, რომლებსაც ჯილდოთ მიეცემათ 1.980 მან., ხოლო ყარაიას რაიონში 51 მებამბე გლეხი, რომლებსაც ჯილდოთ მიეცემათ 1.020 მანეთი.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს მეტი სიფხიზლე მართებს

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, სარწყავი სისტემა მებამბეობის რაიონებში სუსტად ემზადებიან ბამბის თესვისათვის. არხების გაწმენდა - გაგანიერება ნახევრადაც არ არის დამთავრებული. ყარაიას რაიონში წყალთა მეურნეობის სამმართველოს უნდა მოეწყო 2 წყალსაქაჩი. ეს სამუშაო ჯერ-ჯერობით დაწყებულიც კი არ არის.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, ალაზნის არხის სამუშაოების გეგმის შესრულების დაგვიანება მით არის გამოწვეული, რომ ჯერ ერთი სამუშაოებს აქამდე ვერ მიუღიათ სამუშაოთათვის საჭირო ხე-ტყის მასალა და მეორეს მხრით სამუშაოებს 1000 მუშა - ხელი აკლია.

ალაზნის არხის სამუშაოებზე უმთავრესად დაბანდებულია ახალციხე-ახალქალაქის და წალკის რაიონებიდან გადმოსული გლეხობა. ეხლა როდესაც იწყება საგაზაფხულო სას. სამ. სამუშაოები, ეს გლეხობა აღარ რჩება გარე-სამუშაოებზე და თავის მეურნეობისაკენ მიეშურება. ამ რიგად უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოეს მომავალში მუშა-ხელის რაოდენობა ალაზნის არხის სამუშაოებზე კიდევ უფრო შემცირდება.

როგორც სჩანს, საქართველოს შრომის კომისარიატი, ამ საკითხს აქამდე არ აქცევს სათანადო ყურადღებას.

შრომის კომისარიატმა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს და გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს, რომ სარწყავი სისტემის სამუშაოები დაჩქარებით უზრუნველყოს საჭირო მუშა-ხელით.

წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს, იმისათვის, რომ სარწყავი სისტემები ყოველ მიზეზს გარეშე იქნას მზად ბამბის ნათესების მორწყვისათვის.

როგორ ასრულებს დავალებებს „ზაკსელხოზსნაბ“-ში

ბამბის თესვა უახლოეს ხანში უნდა დაიწყოს და როგორც ირკვევა მოსამზადებელი მუშაობა სათანადოთ კიდევ არ არის ჩატარებული. გეგმის თანახმად ბამბის დასათესად გამოყოფილი მთელი სივრცის 60 პროც. დამუშავებული უნდა იქნეს ტრაქტორებით და მთელი ეს სივრცე მექანიკური სათესი მანქანებითვე უნდა დაითესოს. მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით „ზაკსელხოზსნაბ“-ს მებამბეობის რაიონებში ჯერ ჯერობით არც ერთი სათესი მანქანა არ მოუწოდებია ადგილებისათვის. მაგალითად ბორჩალოს რაიონში სათესი მანქანები სრულიად არ მოიპოვება. „ზაკსელხოზსნაბ“-მა არც კი იცის როდის შეიტანს ამ მანქანებს მებამბეობის რაიონებში. „ზაკსელხოზსნაბ“-ს მებამბეობის რაიონებში 100 გუთანი უნდა შეეტანა, ჯერჯერობით არც ერთი ცალი არ შეუტანია.

არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პარკების მდგომარეობა. ტრაქტორები საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება, არსებული რაოდენობა კი გეგმით გათვალისწინებულ სივრცის დამუშავებას ვერ უზრუნველყოფს.

ამ გარემოებას სწრაფად უნდა მიექცეს ყურადღება. დრო აღარ ითმენს. ბამბის თესვა ამ დღეებში უნდა დავიწყოთ და თუ მანქანების საკითხი სასწრაფოდ არ მოგვარდა თესვის ნორმალურად ჩატარება საფრთხეში ჩავარდება.

პარტიული მშენებლობა

საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებით გაშლისათვის

აუცილებელია ძირშივე აღვკვეთოთ მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკა და „მემარცხენე" ნახტომები

დაუზოგავად გამოვამჟღავნოთ და განვდევნოთ პარტიის რიგებიდან კულაკის აგენტები, რომელნიც აფერხებენ ძლევამოსილ სოციალისტურ შეტევას კაპიტალიზმის უკანასკნელ ნაშთებზე სოფლად

გავანადგუროთ კულაკის აგენტურა

მეორე ბოლშევიკური გაზაფხული მეორე და გადამწყვეტი ნაბიჯია ჩვენი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანია, ეს არის არა მარტო თესვისათვის ბრძოლა, არამედ ეს არის საშუალო და ღარიბ გლეხურ მეურნეობათა შემდგომი კოლექტივიზაციისათვის ბრძოლა, ბრძოლა იმისათვის, რომ მოემზადდეს ნიადაგი ახლო ხანში კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ამ უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო ხასიათის ამოცანის გადაჭრა მოითხოვს ჩვენგან კიდევ უფრო გაძლიერებული იერიში მივიტანოთ მემარჯვენე ოპორტუნიზმსა და მასთან შემარიგებლობაზე. პარტიული ორგანიზაციებისა და თვითეული ცალკე კომუნისტის მოვალეობაა — ფხიზლად ადევნოს თვალი ყველა მერყევ ელემენტებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით აფერხებენ გაშლილ სოციალისტურ შეტევას კაპიტალიზმის უკანასკნელ ნაშთების წინააღმდეგ სოფლად.

ნიადაგ აქედანი მემარჯვენე პრაქტიკის მაგალითები კი ჩვენს სინამდვილეში ბლომად მოიპოვება. ზოგიერთი გლეხი — კომუნისტი, იმის ნაცვლად, რომ სათავეში ჩაუდგეს მშრომელ გლეხობის ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ, ანტისაკოლმეურნეო აგიტაციას ეწევა. ასე იქცევა მაგალითად, სოფ. შუაზანათის (აბაშის რაიონი) უჯრედის წევრი, ამავე დროს საბჭოს დეპუტატი, ვანო უჩანეიშვილი. ეს ვაჟბატონი საჯაროდ ტრაბახობს, რომ ის ჭკუით მოიქცა და ხარები კოლმეურნეობაში შესვლამდე გაჰყიდა. „დამცინოდით, — ეუბნება უჩანეიშვილი გლეხებს, — მაგრამ ეხლა თქვენი სორი ნახეთ: ყველას კოლექტივში გაგაერთიანებენ, ხარებსაც დაკარგავთ და ძროხებსაც". თვით ჩვენი მოსისხლე მტერი — კულაკი გასწევდა ასეთ აგიტაციას კოლ მეურნეობების წინააღმდეგ.

აღმაშფოთებელია, რომ კლასობრივი მტრის ეს პირწავარდნილი აგენტი — უჩანეიშვილი დღემდე დაუსჯელად ემსახურება კულაკების ინტერესებს. აბაშის რაიკომმა და რაისაკონტროლო კომისიამ მეტი სიფხიზლე და ყურადღება უნდა გამოიჩინოს ვ. უჩანეიშვილის მიმართ. ისეთი ელემენტები, როგორიც უჩანეიშვილია, დაუყოვნებლივ უნდა გაძევებულ იქნან პარტიის რიგებიდან.

გლეხი კომუნისტი მხოლოდ მაშინ ამართლებს პარტიის წევრის სახელწოდებას, თუ იგი არა მარტო ლაპარაკით, არამედ საქმითაც სათავეში უდგება წვრილ გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურ გარდაქმნას. პარტიის წევრის მიერ კოლმეურნეობის მიტოვება მემარჯვენე გადახრის ყველაზე დასრულებული პრაქტიკული გამოხატულებაა. ასეთ მოვლენას კი აქვს ადგილი და ჩვენ მათ დაუზოგავი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. ამას წინად კასპის რაისაკ. კომისიის პლენუმმა პარტიიდან გარიცხა ადგილობრივი გლეხები ზაქარაშვილი, ბიჭიკაშვილი, ჩუბინიძე, ბახტაძე და წულაძე იმისათვის, რომ მათ მიატოვეს კოლმეურნეობა და სხვაგან დაიწყეს სამუშაოს ძებნა. რაიონულ საკონტროლო კომისიის ეს ნაბიჯი ბოლშევიკურია, სწორია. პარტიის წევრი, რომელიც კოლმეურნეობიდან გადის, პარტიულ ბილეთსაც აუცილებლად უნდა გამოეთხოვოს.

საკოლმეურნეო მოძრაობის უშუალო ხელმძღვანელები — მიწადმოქმედების და საკოლმეურნეო კავშირების ადგილობრივი ორგანოებია. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ამ ორგანოების მუშაკთა შემადგენლობას, რადგან ოპორტუნისტებს აქ მეტად დიდი ზიანის მიყენება შეუძლია პარტიის პოლიტიკისათვის. სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს ერთი მაგალითი, რომელიც მოწმობს, რომ არც ხელმძღვანელი ორგანოებია დაცული ოპორტუნისტებისაგან. ჩვენ ქვემოდ ვბეჭდავთ მასალას ბაღდადის რაიონის შესახებ. ამ რაიონში მოხდა ის, რომ ალმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებას სათავეში მოექცა მემარჯვენე ოპორტუნისტი **ჩიქვანაია**, საკოლმეურნეო კავშირს კი — არა ნაკლები ოპორტუნისტი — **მჭედლიძე**, რომლის გვერდითაც მოიკალათა მემარჯვენეთა „ხაზის" პრაქტიკულად გამტარებელმა ინსტრუქტორმა **კაციტაძემ**. ეს ხალხი დაუფარავად ახორციელებდა კულაკების პოლიტიკას. ისინი მოითხოვდნენ, და ნაწილობრივ კიდევაც, ატარებდნენ კოლმეურნეობების „წმენდას ზარმაცებისაგან". რასაკვირველია, ზარმაცების კატეგორიაში ბაღდათელი გმირები აყოლებდნენ მხოლოდ ღარიბებს და მოჯამაგირეებს, რომლების ნაცვლად მათ კოლმეურნეობების წევრად მიიღეს ყოფილი მღვდელი, მამასახლისი და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები.

აქვე დავსძენთ რომ მჭედლიძის და ჩიქვანაიას ანტიპარტიულ საქმიანობას გულმოდგინეთ იცავდა და ხელს აფარებდა რაიონული საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე **აქსენტი აზვლედიანი**.

ამჟამად ბაღდათელი ოპორტუნისტების წრე დაშლილია. საქართველოს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური საკ. კომისიის პარტკოლეგიის დადგენილებით კულაკების აგენტები: **მჭედლიძე, ჩიქვანაია, კაციტაძე** და **აზვლედიანი** გამორიცხული არიან პარტიის რიგებიდან. საჭიროა ბაღდათის პარტიულმა ორგანიზაციამ რაც შეიძლება მალე გამოასწოროს მათივე დაშვებული შეცდომები. სხვა რაიონებმა კი ბაღდათის მაგალითი გაკვეთილად უნდა გამოიყენონ.

პარტია გადაჭრით იბრძვის სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმი კი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ შეაფერხოს სოციალიზმის ძლევამოსილი წინსვლა, ჩაშალოს გაზაფხულის სას.-სამ. კამპანია. სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკური სიფხიზლე და შეურიგებლობა უნდა დაუპირისპირონ ყველა ჯურის ოპორტუნისტების მოქმედებას. კულაკის აგენტურა შეუბრალებლად უნდა იქნას გაძევებული ჩვენი პარტიის რიგებიდან.

ო—ძე.

გლოლის კომუჯრედის წევრები კულაკების სამსახურში

(გორის რაიონი)

სოფ. გლოლაში არსებობს კომპარტიის უჯრედი, რომელიც აერთიანებს 10 წევრსა და 7 კანდიდატს. სარაიონო პარტიულმა კომიტეტმა არა ერთხელ გააფრთხილა კომუჯრედი ეწარმოებია ბრძოლა კულაკური გადახრების მატარებელ კომუნისტების წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოთ.

გლოლის უჯრედი სავსებით გადაეშვა მემარჯვენე - „მემარცხენე" გადახრების ჭაობში. უჯრედის დადგენილებით გაგზავნილ იქნა ჩრდილო კავკასიაში ვინმე ბიძიშვილი ონის რაიონზე მოცემულ 15 ვაგონი სიმინდის გამოსაგზავნად, ხოლო გადმოზიდვა უნდა მომხდარიყო გლოლის მოსახლეობის მიერ, რისთვისაც საჭირო იყო წამსვლელი [illegible] მოწმობა ადგილობრივ საბჭოდან და გადაეხადა ერთ ფუთ სიმინდზე 5 მანეთი, ხოლო თვითეულ ფუთზე 10 კაპ. უჯრედმა ანტისაბჭოთა ელემენტს ვასილ ბიძიშვილს მისცა დახასიათება, რომ ვითომც იგი არის მისაღები პიროვნება და საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი.

გლოლის არც ერთ ორგანოსთან არ იყო შექმნილი ღარიბთა ჯგუფები, რადგან ასეთის არსებობას უჯრედი საჭიროდ არ სცნობდა; ქალთა შორის მუშაობაზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. უჯრედს ერთხელაც არ მოუსმენია სას. საბჭოში არსებული ორგანიზაციების და დაწესებულებათა ხელმძღვანელების ანგარიში. ყველა ისე მუშაობდა, როგორც სურდათ.

საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ჩატარებულ მუშაობაზე უჯრედმა დაამახინჯა კლასობრივი ხაზი, განსაკუთრებით თესლის გაწერაში, თვითონ პარტიელებმა შეიწერეს ცოტა, ღარიბებს კი, შეაწერეს მეტი.

გლოლაში არსებობს მესაქონლეთა კოოპერატიული ამხანაგობა, რომლის საქმე სრულიად არეულია უყურადღებობის გამო, გამგეობის თავმჯდომარე წევრებს საერთო კრების გარეში იღებს და გამგეობაში ყავს შეყვანილი ამხანაგობის არა წევრი.

თანხების მობილიზაცია, მზადობა საგაზაფხულო კამპანიისათვის, საყოველთაო სავალდებულო სწავლება, წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია—გლოლის უჯრედმა გამოუშვა მხედველობიდან.

ყველა დამახინჯებათა ჩამოთვლა, რაც გლოლის უჯრედს ახასიათებს, შეუძლებელია.

რაიონის საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა სხდომამ, ამა წლის 7 მარტს, უჯრედის მუშაობის გამორკვევის საფუძველზე მიიღო გადამჭრელი ზომები გლოლის უჯრედის გასაჯანსაღებლად და გასწმინდა ის გადაგვარებული და გახრწნილი ელემენტებისაგან.

ორგანიზაციიდან გარიცხული არიან

მიხა ბერიშვილი (პარტიის წევრი 1926 წლიდან) სას. საბჭოს ყოფ. თავმჯდომარე, შეძლებული გლეხი, გაფლანგა სასოფლო ფულები, ხელი შეუშალა თანხების მობილიზაციის მიმდინარეობას. ხელისუფლებისაგან მიცემული სიძნელე გაუნაწილა შეძლებულ გლეხობას, არ გადაუხდია 6 თვის პარტსაწევრო გადასახადი, გაფლანგვისათვის მიცემულია პასუხისგებაში.

თედო ბერიშვილი (პარტიის წევრი 1927 წლიდან) ,საშუალო გლეხი, გაფლანგა სასოფლო ფულები, (გლეხკომში, სას.-სამ. ბანკში და საბჭოში). პასიური, მერყევი, კულაკობის დამცველი და აშკარა ოპორტუნისტი.

გიორგი ბერიშვილი (პარტიის წევრი 1926 წლიდან), კულაკურ და შეძლებულ გლეხების დამცველი, სას. საბჭოს თავმჯდომარეობის დროს გაფლანგა სასოფლო ფულები, 1929 წელში პარტწმენდის დროს გარიცხული იყო პარტიიდან; მესაქონლეობის ამხანაგობის ჩამოყალიბების წინ გაყიდა ძროხა.

ნიკო გავაშელიშვილი (პარტიის წევრი 1926 წლიდან), საშუალო გლეხი, ლოთი, კულაკობის დამცველი, ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკას, მოსახლეობაში არა აქვს ავტორიტეტი.

იოსებ სულთანიშვილი (პარტ. კანდიდატი 1925 წლიდან), არ ესწრება უჯრედის კრებებს, უდისციპლინოა, არ აინტერესებს პარტიაში მუშაობა.

ბენედიქტე გრიგოლიშვილი (პარტ. კანდიდატი 1926 წლიდან), საშუალო გლეხი, არ ესწრება კრებებს, იცავს კულაკებს, შემჩნეულია ქურდობაში.

მიქელ ბერიშვილი (პარტიის კანდიდატი 1926 წლიდან), საშუალო გლეხი, პასიური, უკმაყოფილოა პარტიის მიმდინარე პოლიტიკით და ეწინააღმდეგება მას.

უჯრედის დანარჩენ წევრებს მიეცათ აგრეთვე სათანადო სასჯელი და მთელი რიგი პრაქტიკული მითითებანი მომავალ მუშაობისათვის.

გლოლის მაგალითმა უნდა ასწავლოს ჭკუა ჩვენი ორგანიზაციის თითეულ წევრს.

შ—ო.

გავამახვილოთ კლასობრივი სიფხიზლე

(ხევი)

კომუნისტური პარტიის ლენინურ რიგებში ადგილი არ ექნება და არ უნდა ჰქონდეს კულაკურ ელემენტების ქვეშ მოქცეულ მერყევ და არამტკიცე კომუნისტებს, რომლებიც მოქმედებენ კლასობრივ მტრების სასარგებლოდ. პარტია არასოდეს არ მისცემს უფლებას პარტიის ამა თუ იმ წევრს პარტიის ნდობა და სახელი თავის პირად ინტერესების და სარგებლიანობისათვის გამოიყენოს და კომუნისტური პარტიის სახელით იდგეს კლასობრივი მტრების სადარაჯოზე.

ხევის პარტიულ ორგანიზაციამ პარტიის რიგებიდან გააძევა ხევის რაიონის საკონტროლო კომისიის და მუშგლეხინის ინსტრუქტორი ვასილ სუჯაშვილი. სუჯაშვილმა ბოროტად გამოიყენა პარტიის ნდობა თავის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნის დროს. იგი მფარველობდა კულაკ სიმამრს, სუჯაშვილს შეცდომაში შეჰყავდა ადგილობრივი ხელისუფლება და კულაკი სარგებლობდა საარჩევნო ხმის უფლებით. სუჯიაშვილის კულაკური ბუნება და სრული გადაგვარება იქამდისაც მივიდა, რომ ქორწილი გადაიხადა ძველი წესების სრული დაცვით. ჩვენ აქ მოკლეთ აღვნიშნავთ მთელ იმ უმსგავსობებს, რომელსაც ჩადიოდა სუჯაშვილი. ვასო სუჯიაშვილი გაჟღენთილი იყო რელიგიური ზნე-ჩვეულებებით. დაფარა კულაკი სიმამრი და ძმები წიკლაურები, რომლებიც,არ იყვნენ მოკლებული საარჩევნო ხმის უფლებას; არ იყვნენ ინდივიდუალურად დაბეგრილი, რადგან ალმასკომს მიაწოდა სრულიად სხვა ცნობები მათ შესახებ.

მთიელთა კულტსაზოგადოების სასადილოს გამორკვევის დროს წაყენებული ბრალდება მიქ. ხახლოშვილზე—დაფარულ ნათესაური კავშირის გამო.

საძოვარ „ხდის" განაწილების დროს მან საერთო სიიდან ამოშალა თავისი სიმამრი და წიკლაური, კუთვნილი გადასახადი კი გადაახდევინა ღარიბ გლეხებს.

ასეთი იყო ვასო სუჯიაშვილი.

ვ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის პლენუმი,
რომელიც უნდა შემდგარიყო დღეს, 21 მარტს **გადადებულია**
პლენუმის მოწვევის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი **ოკუჯავა.**

მტკიცედ დავირაზმოთ პარტიის ლენინური ხაზის გასატარებლად

აჭარისტანის ცაკის მისალმება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ - კომიტეტს.

ბათუმი, 18 მარტი. აჭარისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აჭარისტანის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უგზავნის საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელ შტაბს —საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელ საქართველოს მშრომელებთან ერთად, აჭარისტანის მშრომელმა მასებმა 10 წლის წინათ გაანადგურა საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები — მენშევიკების მთავრობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. განვლილი ათი წლის განმავლობაში აჭარისტანის მშრომელებმა მიაღწიეს ბრწყინვალე გამარჯვებას სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტზე. მრეწველობის ჩქარი ტემპით ზრდასთან ერთად, რომელსაც თან სდევდა აჭარისტანის მუშათა კლასის ზრდა და მუშათა მდგომარეობის შეუნელებელი გაუმჯობესება, გადაჭრით, ამაღლდა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ტემპები. და დღეს მძლავრ საბჭოთა მეურნეობასთან ერთად, ჩვენც გვაქვს გლეხურ მეურნეობის 21 პროცენტის კოლექტივიზაცია. აჭარისტანის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მტკიცე სიტყვას გაძლევთ, რომ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების, კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის, სირცოვ-ლომინაძის უპრინციპო ბლოკის ნაშთების, დიდმპყრობლური შოვინიზმის, ადგილობრივი ნაციონალიზმის და ყველა ამ გადახრასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ შემდგომი გადამჭრელი ბრძოლით და ცენტრალური კომიტეტის ნაცადი ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მტკიცედ დავირაზმებით პარტიის ლენინური ხაზის ურყევად გატარებისათვის ბრძოლაში და მთელ საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად დავამთავრებთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის ამოყვანას მიმდინარე გადამწყვეტ წელს.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

აჭარისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ჩაის თესვის გეგმის შესრულებას ოპორტუნისტები აფერხებენ

(უშაფათის თემი, სენაკის რაიონი)

უშაბათის თემი ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ თემად ითვლება სენაკის რაიონში. უშაბათის თემის ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეიძლება მხოლოდ ჩაის კულტურების განვითარებით, რომელიც საუკეთესოდ ხარობს თემის მწირ ნიადაგზე. მაგრამ ჩაის კულტურის განვითარების მნიშვნელობა სათანადოთ ვერ აქვთ შეფასებული უშაბათის თემის ხელმძღვანელობას. უშაბათის თემში ჩაის კულტურის განვითარებას მოკლე ისტორია აქვს. ამ თემში 1928 წლიდან ჩაის კულტურა გაშენებულია 75 ჰექტარზე, ჩამოყალიბებული არის 11 სასოფლო-სამეურნეო არტელი. მიმდინარე წელს თემში გეგმის მიხედვით ჩაის კულტურა უნდა გაშენდეს 30 ჰექტარ მიწაზე. საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით 15 მარტამდე ჩაის დასათესად უნდა დამზადებულიყო 15 ჰექტარი მიწა. მიუხედავად ამისა 10 მარტისათვის ჩაის დასათესად დამზადებულ-გადმობრუნებულ იყო მხოლოდ სამ ჰექტარზე მიწა. ჩაის თესვის გეგმის ასე საგრძნობლად ჩამორჩენა აიხსნება თემის მუშაკების ოპორტუნისტული ხელმძღვანელობით, თვითდინებაზე დაყრდნობით.

კომუჯრედის ღია კრებაზე იშვიათად ისმება საკითხები ჩაის არტელების მდგომარეობის შესახებ. თესვის გეგმა ცალკე არტელის წევრამდე არ დაუყვანიათ. სოციალისტური შრომის ახალი ფორმების და მეთოდების—სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლას პარტიის და კომკავშირის უჯრედების მდივნები—**სამსონ კორშია** და **ალექსანდრე მურღულია** ყურადღებას არ აქცევენ. **პარტიის და კომკავშირის წევრები ჩაბმული არ არიან სოცშეჯიბრებაში, არც დამკვრელი ჯგუფებია ჩამოყალიბებული.** არტელებში არავითარი პოლიტიკურ-კულტურული და აღმზრდელობითი მუშაობა არ სწარმოებს. არტელები გვიან შეუდგენ ჩაისათვის მიწის გადმობრუნებას. პარტიის და კომკავშირის წევრები ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი გმირული მუშაობით მაგალითი უნდა აძლევდნენ არტელის წევრებს, ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან ამ უკანასკნელთა აქტივობას და კუდში მისჩანჩალებენ მათ. ჩაის არტელი „შრომის ჰანგში" უმთავრესად პარტიის და კომკავშირის წევრები არიან გაერთიანებული. მაგრამ არტელში არაფერს არ აკეთებენ. კომუჯრედის ცალკე წევრებს ახასიათებს მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა პრაქტიკაში. პარტიის წევრების **გრიგოლ გოგონავა, ვლადიმერ კორშია, აქსენტი ტყებუჩავა** და კომკავშირელების ვალიკო ადამია, მარო კიზირია და ხვედრიანე გაბელია „ამაბიჟური" საქმიანობით საგრძნობლად ფერხდება ჩაის არტელების მუშაობა.

ჩაის არტელები დღემდე უპატრონოთ არიან მიტოვებული. განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან: „ოქტომბრის მონაპოვარი", „ბირბილი", „მოწინავე", „დასაწყისი", „სწორი ნაბიჯი" და სხვ. ჩაის არტელები არ არიან მოვლილი, ეს მაშინ, როდესაც კერძო პლანტაციები უკეთეს მდგომარეობაში არიან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის არტელები უშაბათის თემში განადგურების პირზე არიან შემდგარი. ამ საქმისათვის მოწვეული კრება ორჯერ იქნა გადადებული იმის გამო, რომ კომუჯრედის მდივანს სამსონ კორშიას და სოფ. საბჭოს თავმჯდომარე ვანო კორშიას კრებისათვის არ ეცალათ, რადგან ისინი ქეიფობდენ ვანო კორშიას ოჯახში. მშრომელ გლეხებს რამოდენიმეჯერ უხდებათ ალმასკომში მისვლა ერთი და იმავე საქმისათვის.

საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვა და საქ. კ.პ. (ბ) ცეკას სამდივნოს დადგენილება—ქვედა პარტორგანოების გადარჩევის შესახებ უშაბათის კომუჯრედში ზერელედ იქნა დამუშავებული. მათ არავითარი პრაქტიკული ღონისძიებანი არ გამოუმუშავებიათ ჩაის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად. ჩაის თესვის გეგმის შესრულება კი სამარცხვინო მდგომარეობაშია. საჭიროა ქვედა პარტორგანოების გადარჩევის მეორე პერიოდი მაინც მტკიცედ იქნას გამოყენებული ამ ამოცანების გადასაჭრელად. საზოგადოებრივი აზრის დარაზმვით ძირშივე უნდა იქნას აღმოფხვრილი მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაის ძველი არტელების განმტკიცებაზე და ახალი სათესი ფართობის გადიდებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

მეღვარი.

ოპორტუნისტები შორს ჩვენს რიგებიდან

(კასპის რაიონი)

საქ. კ.პ. (ბ) კასპის რაიონის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა სოფლის კომუჯრედის წევრების **ტატო ზაქრაშვილის, ვანო ბიჭიკაშვილის, მიხეილ ჩუბინიძის, მიხეილ ბახტაძის და გიორგი წულაძის საქმე.** გამოირკვა, რომ აღნიშნული პირები ბრძოლას აწარმოებდენ კოლმეურნეობის წინააღმდეგ, ატარებდნენ პრაქტიკაში აშკარა მემარჯვენე გადახრას, გამოვიდენ არტელიდან და წავიდენ სხვა სამუშაოზე არტელის ნებადაურთველად. ისინი უარს აცხადებდენ არტელში მუშაობაზე. ამის გამო საქ. კ.პ. (ბ) კასპის რაიონის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა პარტიიდან გარიცხა ზაქრაშვილი, ბიჭიკაშვილი, ჩუბინიძე, ბახტაძე და წულაძე.

ლ. მ.

მემარჯვენე ოპორტუნისტები გარიცხული არიან პარტიიდან

ბაღდათის რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული იყო აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტული შეცდომები. რაიკოლმეურნეობის კავშირის თავმჯდომარე **ლეონიდე მჭედლიძე**, ვერ ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობათა მშენებლობას და ამახინჯებდა პარტიის ხაზს. სოფ. საკრაულას საკანდიდატო ჯგუფის მდივანი **თაბუკაშვილი** მოქცეული იყო ოპორტუნისტულ ჭაობში, ამახინჯებდა პარტიის ხაზს. კავშირი ჰქონდა კულაკებთან. ასეთივე საქმიანობას ეწეოდენ რაიკოლმეურნეობის კავშირის ინსტრუქტორი **კაციტაძე** და ყოფილი მიწადმოქმედების განყოფილების გამგე **ალ. ჩიქვანაია**; მათი მოქმედება მიმართული იყო კოლმეურნეობის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ „ზარმაცების გაძევებას კოლექტივებიდან. ვინ იყვნენ ზარმაცები ამ ვაჟბატონების თვალსაზრისით?—ღარიბები და მოჯამაგირეები, მათ მაგივრად კი მიიღეს ყოფ. მამასახლისი, ყოფ. მღვდელი და სხვა. ბაღდათის რაისაკონტროლო კომისიის და მუშგლეხინის რწმუნებული აზვლედიანი იზიარებდა ოპორტუნისტების პრაქტიკას.

საკონტროლო კომისიის პარტ. კოლეგიამ სათანადო სასჯელი გამოუტანა ოპორტუნისტებს. ამას წინად ბაღდათის რაიონის გაფართოებულმა პარტ. თათბირმა მოისმინა ინფორმაცია აღნიშნული პარტკოლეგიის დადგენილების შესახებ.

თათბირმა მოიწონა—ბაღდათის საკონტ. კომისიის და მუშგლეხინის რწმუნებულის **აქსენტი აზვლედიანის**, რაიკოლმეურნეობის კავშირის თავმჯდომარე **ლეონიდე მჭედლიძის**, საკრაულის ჯგუფის მდივნის **თაბუკაშვილის** და ყოფ. მიწადმოქმედების განყ. გამგე ალ. ჩიქვანაიას პარტიიდან გამორიცხვა.

ხ. ცერცვაძე.

შეუსუსტებელი ბრძოლა ორ ფრონტზე

(ცაგერი)

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ზრდა კიდევ უფრო ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას ქალაქად და სოფლად. ისტორიულად განწირული კაპიტალისტური ელემენტები უკანასკნელ ძალღონეს იკრებენ არსებობის შესანარჩუნებლად. კულაკური ელემენტები, თავიანთ ინტერესთა დამცველებს ჩვენს პარტიის რიგებშიაც ჰპოულობენ. მერყევი და არა მტკიცე კომუნისტები აწარმოებენ ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ კულაკების ინტერესების სასარგებლოდ, რადგან ვერ უმკლავდებიან სოციალისტური მშენებლობის ზრდის სიძნელეებს. მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრის კულაკური ბუნება გამოაშკარავა პარტიამ და გაანადგურა იგი. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას თითქოს ბრძოლა, როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე"გადახრასთან დასრულდა, პირიქით, ორ ფრონტზე ბრძოლა წარმოადგენს პარტორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანას. პარტ ორგანიზაციები დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ ლენინურ ხაზიდან, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში.

ცაგერის რაისაკონტროლო კომისია ბოლშევიკურად იბრძვის პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის. ის შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ცაგერის პარტორგანიზაციამ პარტიის რიგებიდან გააძევა პარტიის 12 წევრი მემარჯვენე საქმიანობისათვის.

ვინ არიან ესენი?

ამბროსი თუთისიანი, თავის მოღვაწეობას ანდომებდა სოფლად კოლექტიურ მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლას, იგი დასცინოდა ყველა მათ ვისაც განზრახული ჰქონდა კოლმეურნეობაში შესვლა.

ვასილი თუთისიანი, კოლმეურნეობის დაუძინებელი მტერი, არ დასწრებია ორი წლის განმავლობაში პარტიის უჯრედის არც ერთ კრებას.

პორფილე კაშილიანი—გაიძახოდა „კოლმეურნეობაში ვერ შევალ, ოჯახს ვერ ავრევ, დეე გამრიცხონ პარტიიდან"-ო.

გრიგოლ ბაგრატიშვილი, იცავდა ვაჭრებს, იბრძოდა კოლმეურნეობის წინააღმდეგ.

ტრიფონ ბაგრატიშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა კულაკებთან და კერძო ვაჭრებთან, იბრძოდა კოლმეურნეობის წინააღმდეგ.

მაკარი ჩაკვეტაძემ უარი განაცხადა კოლმეურნეობაში შესვლაზე **„რა სარგებლობას მომიტანს კოლმეურნეობა"-ო.**

სპირიდონ გაბიძაშვილი ხელს უწყობდა კოლმეურნეობის დაშლას.

გერასიმე ჩაკვეტაძე ეწეოდა ექიმბაშობას, უჯრედის ყოველგვარ საიდუმლო დადგენილებებს აცნობდა კულაკებს.

არტემ გურესაშვილი კოლექტიურ მეურნეობას სახელს უტეხდა, აცხადებდა **„კოლექტივში ვერ შევალ, რადგან შიგ ქურდები და არა სასურველი ელემენტებიო"-ო.**

გარდა ამისა, დიმიტრი კანჩაძე, ნიკოლოზ ჩარკვიანი, პავლე ბრეგვაძე, გარიცხულ იქნენ პარტიიდან კოლექტიურ მეურნეობის წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

ცაგერის პარტიულმა ორგანიზაციამ საკადრისი პასუხი გასცა პარტიის რიგებში მყოფ კულაკების აგენტებს, კოლმეურნეობის დაუძინებელ მტრებს. კიდევ უფრო უნდა იქნეს გაძლიერებული ბრძოლა ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ. პარტია თავის რიგებში არ დასტოვებს ყველა მათ ვინც ვერ უმკლავდება სოციალიზმის ზრდის სიძნელეებს და ექცევიან კაპიტალისტურ ელემენტების გავლენის ქვეშ და ასრულებენ მათ სოციალურ დაკვეთას.

ქვედა პარტიულ ორგანოების გადარჩევის დროს პარტუჯრედებმა კიდევ უფრო უნდა გაამახვილონ თავიანთი ყურადღება და ერთი წუთითაც არ უნდა შეანელონ ორ ფრონტზე ბრძოლა.

ვ. ჯ.

ტრანსპორტის ჩამორჩენილობა აღმოვფხვრათ უმოკლეს ვადაში

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საკავშირო სახკომსაბჭოს და ცეკას მიმართვა, დავეხმაროთ ტრანსპორტს დამკვრელი ტემპების განვითარებაში

20 მარტს გავიდა ორთქლმავლების გაწყვილებულ სვლაზე გადასვლის ვადა. — რკინისგზელებო! შეამოწმეთ, გატარებულია თუ არა ცხოვრებაში ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება

რკინის გზის ტრანსპორტის გადაუდებელი ამოცანები

რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის ძირეულად გარდაქმნა და მისი „ვიწრო ადგილიდან" გამოყვანა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა ამჟამად. საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვა არის ის საფუძველი, რომელზედაც უნდა მოხდეს ტრანსპორტის რეკონსტრუქცია.

ტრანსპორტის ჩამორჩენილობა განსაკუთრებით საგრძნობია ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე. სადაც გზას უხდება საექსპორტო ტვირთების დიდი რაოდენობით გადაზიდვა, ხოლო მისი ტექნიკური მოწყობილობა, და მუშაობის არსებული ფორმები საშუალებას არ იძლევა მთლიანად იქნეს შესრულებული ის გადიდებული მოთხოვნილებანი, რომელსაც უყენებს ტრანსპორტს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა.

თუ თვალს გადავავლებთ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშაობას მარტის პირველ ნახევარში, დავინახავთ, რომ გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ჯერ კიდევ გრძელდება ჩამორჩენა და საწარმოო გეგმების შეუსრულებლობა. ასე მაგალითად, მარტის პირველ ნახევარში ნავთის პროდუქტების გადაზიდვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 86,1 პროც., საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის გეგმა კი 84,6 პროცენტით. ავადმყოფ ცისტერნების პროცენტი აღწევდა 7,5-დე, ხოლო ავადმყოფ ორთქლმავლების პროცენტი 11—14-დე. მარტის პირველ ნახევარში დღე-ღამეში საშუალოდ გზაში ფუჭდებოდა 12—20 ორთქლმავალი.

რას მოწმობენ ეს ციფრები?

უპირველეს ყოვლისა იმას, რომ საჭიროა ტრანსპორტის მუშაობის დაუყოვნებლივ გარდაქმნა, ამ მუშაობის ისეთი ორგანიზაცია, რომ ტრანსპორტმა მაქსიმალურად უმოკლეს ვადაში დააღწიოს თავი ჩამორჩენილობას და გაუსწორდეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ტემპებს.

ტრანსპორტის გაჯანსაღების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საორთქლმავლო პარკს. ბრძოლა ჯანსაღი ორთქლმავლისათვის საბოლოო ანგარიშში არის ბრძოლა სოციალისტური ტრანსპორტისათვის. ამიტომ საორთქლმავლო პარკის მდგომარეობის გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

რას ვხედავთ ჩვენ ამ მხრივ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე?

უნდა ითქვას პირდაპირ, რომ მდგომარეობა ვერ არის სახარბიელო. როგორც უკვე ვსთქვით, მარტის პირველ ნახევარში საშუალოდ დღე-ღამეში გზაში ფუჭდებოდა 12—20 ორთქლმავალი. ეს მოწმობს, რომ ორთქლმავლების რემონტის ხარისხი სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში ძალზე დაბალია, გარდა იმისა, რომ ეს ქარხანა სისტემატიურად უკან რჩება გეგმებს, და ამჟამად, პირველი კვარტალის საწარმოო - საფინანსო გეგმა რეალური ჩაშლის საფრთხის წინაშე სდგას, მან ვერ შესძლო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. ხშირია შემთხვევები, როცა რემონტიდან გამოშვებული ორთქლმავლები რამდენიმე დღის შემდეგ ისევ უკან უბრუნდება ქარხანას შესაკეთებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლის გატარებამაც გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს ჩვენი საორთქლმავლო პარკის მდგომარეობა. ეს არის ორთქლმავლების გაწყვილებულ მგზავრობაზე გადასვლა. რაში მდგომარეობს ეს გაწყვილებული მგზავრობა? წინად ორთქლმავალი არ ჰქონდა ჩაბარებული განსაზღვრულ პიროვნებებს ან ჯგუფს. ორთქლმავალზე მუშაობა შეეძლო ყოველ მემანქანეს. ეს იყო იგრედწოდებული გაუპიროვნებული მგზავრობა. მუშაობის ამ სისტემამ დიდი ზიანი მიაყენა გზას. მემანქანეები არ იყვნენ დაინტერესებულნი ორთქლმავლის მოვლა-პატრონობით, რადგან მათ დღეს ერთ ორთქლმავალზე უხდებოდათ მუშაობა, ხვალ მეორეზე. ეს კი იწვევდა უყურადღებობას ორთქლმავლის მიმდინარე რემონტისადმი და საერთოდ მისი წესიერად მოვლისადმი.

გაწყვილებული მგზავრობა ძირფესვიანად სპობს ამ მდგომარეობას. ორთქლმავალზე მუდმივად ინიშნება მემანქანეთა და მათი თანაშემწეების ორი, წყვილი ბრიგადა (აქედან სახელწოდებაც—გაწყვილებული მგზავრობა), რომელიც პასუხისმგებელია ორთქლმავლის მოვლა-პატრონობისათვის. ამ ღონისძიებამ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. ორთქლმავლების მდგომარეობა გაუმჯობესდა, შემცირდა ორთქლმავლების გზაში გაჩერების შემთხვევები და სათბობი მასალის ხარჯვამაც იკლო. მემანქანეები, რომლებიც მუდმივად არიან მიმაგრებული ორთქლმავალზე, თვითონ არიან დაინტერესებული, რომ ორთქლმავალმა კარგათ იმუშაოს, ამიტომ მეტი გულისყურით ეპყრობიან მის გაწმენდა-გასუფთავებას და შეკეთებას. ამ ღონისძიების გატარებამ დიდად მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც.

გზათა სახალხო კომისარიატმა გაწყვილებული მგზავრობის შემოღების უკანასკნელ ვადად ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე დაადგინა 20 მარტი. ეს ვადა უკვე გავიდა და გაწყვილებული მგზავრობა ზოგიერთ უბნებზე ჯერ სანახევროდაც არ არის განხორციელებული. ავიღოთ, თუ გინდ, თბილისის კვანძი. ამ უბანზე გაწყვილებულ მგზავრობაზე გადაყვანილი არაა ორთქლმავლების მნიშვნელოვანი ნაწილი. გაწყვილებულ მგზავრობას ჯერ კიდევ არ მიუღია ყველა სამოქალაქო უფლებები ზოგიერთ სხვა უბნებზედაც. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყველას, ვინც ხელს უშლის გაწყვილებული მგზავრობის შემოღებას.

ტრანსპორტის წესიერ მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატარებლების მიმოსვლის ცხრილის სწორად დაცვას. ამ მხრივ ამიერ-კავკასიის რკინის გზები დიდ ძალზე ჩამორჩენილი არიან. სახარგო მატარებლების მიმოსვლის ცხრილი საშუალოდ სრულდება 55 პროც., რაც, რასაკვირველია, ვერ უზრუნველყოფს ტვირთების თავის დროზე გადაზიდვას. ვერც სამგზავრო მატარებლების მუშაობა სდგას სათანადო სიმაღლეზე. უფროსი კონდუქტორები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ მატარებლები, უმეტეს შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევენ მათ წესიერ მიმოსვლას. ცხრილის დარღვევა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამ არანორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად და საერთოდ მატარებლების მუშაობის გასაუმჯობესებლად მატარებლებზე შემოღებულია ეგრეთ წოდებული „მოძრავი სამკუთხედები", რომლებიც თვალყურს ადევნებენ მატარებლების მსვლელობას და შეერთებული ძალღონით იღებენ ზომებს იმ დაბრკოლებათა გადასალახავად, რომლებიც წინ ეღობება მატარებლის ნორმალურ მუშაობას.

ამ ღონისძიებამაც მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე. ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ამ ღონისძიებას ჯერჯერობით საცდელი ხასიათი აქვს. საჭიროა მისი უფრო ფართოდ გამოყენება.

არის კიდევ მთელი რიგი საკითხები, რომელთა სასწრაფოდ მოგვარება აუცილებელია ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ესენია მატარებლების სიჩქარის და წონის გადიდება, ცისტერნების დროზე დაცლა და დაბრუნება, რაიონულ სატრანსპორტო კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება, ინსტრუქტაჟის გაძლიერება და სხვ. ყველა ამ საკითხების სასწრაფოდ გადაწყვეტა, ტრანსპორტის პარტიულ - პროფესიონალურ ორგანიზაციების და მუშათა მასების დარაზმვა ტრანსპორტის რეკონსტრუქციის ამოცანების ირგვლივ და დაუნდობელი ბრძოლა ყოველ ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ნამდვილად უზრუნველყოფენ საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვის ბოლშევიკურად განხორციელებას უმოკლეს ვადაში.

რკინისგზელი.

მასიური შაბათობები თბ. დეპოში

თბილისის დეპოს და სავაგონო პარკის მუშებმა 12-დან 15 მარტამდე მოაწყვეს რამდენიმე მასიური შაბათობა. შაბათობებში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მეორე საფეხურ-საჩვენებელი სკოლის 25-მა მოწაფემ. 12 მარტს სავაგონო პარკში ადგილობრივი მუშებისა და სკოლის მოწაფეების მიერ მოწყობილი იქნა შაბათობა რკინეულობის მოსაგროვებლად, რაშიც მონაწილეობა მიიღო 27-მა კაცმა და მოგროვილ იქნა 200 ფუთი სხვადასხვა რკინეული. ასეთივე შაბათობა მოეწყო 13 მარტს. მუშაობდა 24 კაცი და მოგროვილ იქნა 300 ფუთი რკინეულობა. 14 მარტს მოწყობილი შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 17-მა კაცმა. 15 მარტს მუშაობდა 22 კაცი.

სულ ზემოაღნიშნულ შაბათობების დროს მოგროვილ იქნა 2.800 ფუთამდი რკინეული და თუჯი. ნაწილი ამ რკინეულობისა დატოვებულ იქნა თვითდეპოს საჭიროებისათვის.

ამჟამად სწარმოებს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა მასიური შაბათობის მოსაწყობად თბილისის დეპოს ხაზების გასაწმენდათ.

ორთქლმავლების მდგომარეობა გაუმჯობესდა

(თბილისის დეპო)

11 თებერვლიდან თბილისის დეპოს ადმინისტრაცია, თანახმად საკავშირო გზათა სახალხო კომისარიატის და ამიერ-კავკასიის მუშგლეხინის დადგენილებისა, შეუდგა ორთქლმავლების გაწყვილებულ სვლაზე გადაყვანის საკითხის დამუშავებას. 11 თებერვლიდან 20 თებერვლამდე დეპოს სამკუთხედი ატარებდა წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას ზემოაღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

20 თებერვლიდან დაწყებული იქნა ბრიგადების მიმაგრება ორთქლმავლებზე. თითო ორთქლმავალზე მიმაგრებულ იქნა ორი ბრიგადა, რომელშიაც შედის ოთხი კაცი. ორი მემანქანე და ორი მისი თანაშემწე. ამ ბრიგადას ევალება ორთქლმავლის ჯანსაღად შენახვა. ორთქლმავლების გაწყვილებულ სვლაზე გადასვლამ კარგი შედეგი გამოიღო.



თბ. დეპოს დამკვრელი მუშა-კომკავშირელები მუშაობენ ორთქლმავლის შეკეთებაზე

ამჟამად მიმაგრებულია ბრიგადები 13 სამანევრო ორთქლმავალზე, 50 მძლავრ სახარგო ორთქლმავალზე, 30 არამძლავრ ორთქლმავალზე და 19 სამგზავრო ორთქლმავალზე. ჯერჯერობით მიუმაგრებელი არის მხოლოდ 4 არამძლავრი ორთქლმავალი. ორთქლმავლების ის რიცხვი, რომლებიც საჭიროა ყოველდღიურ მოძრაობისათვის, მიმაგრებულია ბრიგადებზე მთელი ასი პროცენტით. გარდა ორი ბრიგადისა თითო ორთქლმავალზე მიმაგრებულია აგრეთვე ნახევარი ბრიგადა, რომელსაც მუშაობა უხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი ბრიგადის ან მემანქანის, ან მის თანაშემწეს მიცემული აქვს კვირეული დასვენება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორთქლმავლების გაწყვილებულ სვლაზე გადასვლასთან დაკავშირებით ორთქლმავლების წვრილს და საშუალო რემონტს უკეთებენ თვითონ ბრიგადები. ბრიგადები ენერგიულად მუშაობენ.

ამჟამად ყველა სამანევრო ორთქლმავლები არ არიან მიმაგრებული ბრიგადებზე. სწარმოებს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, რომ დეპოს 7 საათიან სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით ბრიგადებზე მიმაგრებულ იქნენ ყველა სამანევრო ორთქლმავლები. ორთქლმავლების გაწყვილებულ სვლასთან დაკავშირებით ძალზე შეუმცირდათ მუშაობა ზეინკლებს, რადგან წვრილ და საშუალო შეკეთებას თვითონ ბრიგადები აკეთებენ. ამ ერთი თვის შემდეგ ზეინკლების რიცხვი მოსალოდნელია შემცირებულ იქნეს 50 პროცენტამდე. ეს მუშა-ხელი გამოყენებული იქნება სხვა სამუშაოებზე.

საჭიროა ყურადღება მიექცეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას. პროფორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკებმა გამოარკვიეს, რომ ზოგიერთ ცეცხლფარეშებს, ზეინკლებს და ღამის დარაჯებს სძინავთ სამუშაო საათებში, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. დეპოს პროფორგანიზაცია ყოველგვარ ზომებს ხმარობს საყუდის მუშებს შორის შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. დეპოს საქარხნო კომიტეტმა დაადგინა, რათა საქარხნო კომიტეტში მუშაობა სწარმოებდეს მთელი 24 საათის განმავლობაში.

ა. ი.

ორთქლმავლების და ვაგონების შეკეთების იაპონური მეთოდი

(სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანა)

ამ სამი წლის წინათ, რომ ვინმეს ეთქვა სტალინის სახელობის ქარხანამ უნდა გამოუშვას ძირითად შეკეთებიდან 30 ორთქლმავალი, 60 სამგზავრო და 400 სახარგო ვაგონი, ამას მეტელს არავინ დაუჯერებდა. დღეს კი ეს მიღწევები გვაქვს, რითი მივაღწიეთ ამ შედეგებს? მივაღწიეთ მუშაობის ეგრედწოდებულ იაპონური მეთოდის გატარებით.

იაპონური მეთოდი უკვე საქვეყნოდ ცნობილია; მას დიდი მიღწევები აქვს და ჩვენი სპეციალისტებიც მოძრავ შემადგენლობის რემონტის საკითხის შესწავლის დროს სხვადასხვა ქვეყნებში, შეჩერდნენ იაპონიის მაგალითებზე და ზოგიერთი შესწორებით, ჩვენს პირობებთან შეფარდებით, მუშაობის ეს მეთოდი გადმოიტანეს საბჭოთა კავშირის ტრანსპორტზე და, კერძოდ, შემკეთებელ ქარხნებში.

მთავარი იაპონურ მეთოდში არის—მტკიცე გეგმიანობა: თვეში ერთხელ, 15-დან 20 რიცხვამდე იკრიბება რაიონების, გზების დირექციის და საქარხნო დირექციის წარმომადგენლების ყრილობა, და აქ მუშავდება, თუ თვის რომელ რიცხვში, რომელი ორთქლმავალი, ან სამგზავრო ვაგონი ანდა რამდენი სახარგო ვაგონი (სახარგო ვაგონები დგებიან სამწლიურ შეკეთებაში) უნდა იქნეს ჩაყენებული შესაკეთებლად. ამრიგად, მუშავდება ორთქლმავლების, სამგზავრო და სახარგო ვაგონების შეკეთებაში ჩაყენების და გაშვების განწესი (გრაფიკი). ათი დღით ადრე, ვიდრე რომელიმე ორთქლმავალი ან სამგზავრო ვაგონი იქნებოდეს ჩაყენებული შესაკეთებლად, რაიონი უგზავნის შემკეთებელ ქარხანას შესაკეთებელ ობიექტის „დეფექტიურ უწყებას", რომელშიაც აწერილია, თუ აღნიშნულ ორთქლმავალს ან ვაგონს რომელი ნაწილი არ უვარგა და უნდა შეკეთდეს ანდა ახლით შეეცვალოს.

ქარხანა ამის მიხედვით ამზადებს ნაჩვენებ ნაწილებს და ატარებს მთელ მოსამზადებელ მუშაობას ობიექტის ჩამოყენებამდე. ამრიგად, ორთქლმავალი ან ვაგონი ჯერ კიდევ მუშაობს ხაზზე, როცა იმის შეკეთებაზე მზრუნველობა დაწყებულია. გეგმის (განწესის) თანახმად, თვის განსაზღვრულ რიცხვში (განსაზღვრულ საათებშიც კი) ორთქლმავალს ან ვაგონს აყენებენ ქარხანაში, ხოლო მიმღები ინსპეკტორები განსაზღვრული დროის განმავლობაში სინჯავენ მას დეტალურად, შეადგენენ საშესაკეთებლო ფურცლებს, თუ რა უნდა შეეკეთდეს, რა უნდა გამოეცვალოს, გამოუწერენ საჭირო მასალას და ყველა ამას აძლევენ თანაშემწეებს (დისპეჩერებს), რომლებიც უკვე განწესებში ნაჩვენები დროის მიხედვით იღებენ ზომებს, რომ ყველა ეს მასალა, ახალი ან და შეკეთებული ნაწილები იყოს მიტანილი ორთქლმავალთან. შესაკეთებელი ნაწილების აწყობის შემდეგ, რომელიც გრძელდება არა უმეტეს ორი საათისა, უდგებიან ორთქლმავლის დაშლას, თვითეული შესაკეთებელი ერთეულის შეკეთება სწარმოებს განსაზღვრული სამუშაოების მოცულობის მიხედვით (განწესები არის 5, 8, 10 და 12 დღიანი). განწესი აქვს აგრეთვე შეკეთებაზე მომუშავე თვითეულ ჯგუფს. განწესი ითვალისწინებს, თუ რამდენ საათზე უნდა დაარღვიონ შესაკეთებელი ნაწილი, რამდენ საათში ააწყონ, რომელ დღეს უნდა გასინჯონ და სხვა. მუშაობის უშუალო შემსრულებლები — სამქროს ტექნ. ადმინისტრაცია და ხელოსნები ისწრაფიან, რომ ამ წინასწარ დამუშავებულ განწესის მიხედვით ჩააბარონ ინსპექტორებს სამუშაოები, ხოლო დისპეჩერები იღებენ ზომებს, რათა თავის დროზე იქნეს მომარაგებული ყველა საჭირო მასალა და ნაწილები.

გარდა ამისა, ზუსტი აღწერის და გასინჯვის გამო აღარ იხარჯება ზედმეტი მასალა, რაც იძლევა დიდ ეკონომიას, ამცირებს შეკეთების ხარჯებს 20-25 პროცენტამდე. რაც შეეხება ხარისხს, ამ მხრივ ყოველთვის ვერ არის კარგი შედეგები. ამიტომ ამჟამად დასმულია საკითხი სათანადო გაუმჯობესების შესახებ. ამ მიმართულებით მიღებულ იქნეს ზომები და უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მალე ამ ფრონტზე მივაღწევთ სასურველ შედეგებს.

გასულ წელს ჩვენც გადმოვიღეთ მუშაობის იაპონური მეთოდი. საკავშირო მაშტაბით გასულ წელს წარმოებულ შეჯიბრებაში ჩვენი ქარხანა პირველი რიგში მოხვდა. ეს გვავალებს განვამტკიცოთ მიღწეული შედეგები და ვიბრძოლოთ ახალი გამარჯვებისათვის.

ამას კი მივაღწევთ სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლით და შრომის დისციპლინის აწევით. ახალი კადრების მომზადების საქმეც უფრო მკვიდრ ნიადაგზე უნდა იქნეს დაყენებული. კადრების მომზადება როსტოვის ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში საუკეთესოდ არის დაყენებული, საჭიროა იქაური პრაქტიკა ჩვენც გადმოვიტანოთ, რაც წინ წასწევს კადრების მომზადების საქმეს და ქარხანას მისცემს სავსებით მომზადებულ ხელოსნებს.

ვ. გოგიშვილი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარ. საბჭოსი

საქართველოს სსრ-ის მშრომელი მოსახლეობის შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის შესახებ

სოციალისტური მშენებლობის აჩქარებული ტემპები გადაჭრით მოითხოვენ მშრომელთა ფართო მასების კულტურული დონის ამაღლებას, რათა შესაძლებელი გახდეს ამ მასების სოციალისტურ მშენებლობაში შეგნებული მონაწილეობა და სახალხო მეურნეობის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, 1929 წ. ოქტომბრის 11-ის დადგენილების შესაცვლელად და დასამტკიცებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 241 და 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 222), ადგენს.

1. იმ მოქალაქეთა წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, რომელნიც საქართველოს სსრ მშრომელ მოსახლეობას ეკუთვნიან, დაწყებული 15 წლიდან, ვიდრე 40 წლის ასაკამდე, ხოლო ორგანიზებული მოსახლეობისა 50 წლამდე, სავსებით განხორციელებულ იქნეს 1932 წ. იანვრის 1-დე.

2. ხსენებული ასაკის მოქალაქენი, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, ვალდებული არიან შეისწავლონ წერა-კითხვა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი პროგრამის ფარგლებში იმ ვადაზე, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში.

3. ის პირი, ვინც თავს აარიდებს ამა დადგენილებით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებას, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, და აგრეთვე ის პირი, ვინც ხელს შეუშლის ამ მოვალეობის შესრულებას, პასუხს აგებს ადმინისტრატიული წესით სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილების თანახმად, რაც გამოიცემა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების დებულების წესით.

შენიშვნა: დადგენილება ესე არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელნიც ცხოვრობენ აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, და ახალციხისა, ახალქალაქისა, ტოლოშისა, ადიგენისა, წალკისა, ბაშკიჩეთისა ბორჩალოს, ლუქსემბურგისა, ხევისა და ზემო-სვანეთის რაიონების ტერიტორიაზე და აგრეთვე ფშავ-ხევსურეთზე.

4. მეთვალყურეობის გაწევა მეორე და მესამე მუხლებში გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ლაშქრობის ცენტრალურ შტაბს და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

5. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო ფულადი ფონდების შესაქმნელად მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების სახსარი, რის მოგვარებაც დაევალოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ლაშქრობის ცენტრალურ შტაბს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

6. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ა) გააძლიერონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და საამისო მუშაობისათვის ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობის გაწევა და დაუგვიანებლად და გადაუხვევლად გაატარონ მთავრობის მიერ ამ საკითხის შესახებ მიცემული დირექტივები;

ბ) თავის დროზე უზრუნველჰყონ წერა-კითხვის სკოლები სადგომებით, ინვენტარით, გათბობით და განათებით.

7. რათა უზრუნველყოფილ იქნეს სრული შესაძლებლობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა ამა დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული დროის განმავლობაში, შემოღებულ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სფეროში შეუწყვეტელი სასწავლო წელიწადი.

8. დაწესებულ იქნეს:

ა) ექვსი პრემია, თითო 5.000 მანეთის რაოდენობით, იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დასაჯილდოვებლად, რომლებიც მეტ უნარს და ზრუნვას გამოიჩენენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში და წარმატებით ჩაატარებენ მას; ბ) ათი პრემია, თითო ათასი მანეთის რაოდენობით, სოფლის საბჭოების დასაჯილდოვებლად ასეთივე ხასიათის მუშაობისათვის.

დაევალოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ცენტრალურ შტაბს შეიმუშაოს ამ პრემიების გაცემის წესი.

შენიშვნა: პრემიებისათვის საჭირო თანხები გაღებულ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფონდიდან.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობას დროზე უზრუნველჰყოს წერა-კითხვის სკოლები სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო საგნებით.

10. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს და დაინტერესებულ ორგანოებს დაუყოვნებლივ მისცენ, ამა დადგენილების საფუძველზე, თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს დირექტივები წერა-კითხვის უცოდინარობის განსაზღვრული დროისათვის ლიკვიდაციის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. მარტის 14.

ტფილისი.

წესი

სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად რაიონებზე და სოფლის საბჭოებზე პრემიების გაცემის შესახებ განსახკომი განმარტავს, რომ პრემიები უნდა გაიცეს იმ რაიონებზე და სასოფლო საბჭოებზე, რომელნიც საუკეთესოდ ჩაატარებენ წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას. პრემიების გაცემა იწარმოებს შემდეგი წესით:

1. პრემიებს ანაწილებს წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო ლაშქრობის ცენტრალური შტაბი.

2. პრემიების განაწილება ხდება 1931 წლ. დეკემბერში.

3. პრემიის მიღებისათვის საჭიროა დასაჯილდოებელმა ერთეულებმა შეასრულონ შემდეგი:

1) ძალების, ხელმძღვანელობის და სახსრების გაერთიანების საფუძველზე ადგენენ კულტლაშქრობის ერთიან გეგმას, წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა საკონტროლო ციფრებს წერა - კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა ზუსტად ჩატარებულ აღრიცხვის საფუძველზე, გეგმის შესასრულებლად ხარჯთაღრიცხვას, აწარმოებენ სახსრების მობილიზაციას და აქტიურად მუშაობენ დასახულ გეგმის რეალიზაციისათვის.

აქტიურად ხელმძღვანელობენ კულტლაშქრობაში მონაწილე ორგანიზაციების მუშაობის ერთიანი გეგმის შესრულებას.

2. მაქსიმალურად აბამენ მუშაობაში დაინტერესებულ ორგანიზაციებს და მშრომელთა ფართო მასებს და რაციონალურად იყენებენ მათი თვითმოქმედებას.

3. ამოწმებენ ორგანიზაციების მიერ თავის თავზე მიღებულ ვალდებულებათა შესრულებას (იხ. გენერ. ხელშეკრულება) და ღებულობენ გადამჭრელ ზომებს ამ ვალდებულებათა შესასრულებლად.

4. ერთიანი გეგმის საფუძველზე დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით აწყობენ და აწესრიგებენ სისტემატიურ მუშაობას და აგიტკამპანიებს მასების მობილიზაციისათვის, საზოგადოებრივობის მაქსიმალურად პრაქტიკულ მუშაობაში ჩასაბმელად და მოსწავლეების სკოლებში ჩასაბმელად.

5. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა შორის აწარმოებენ საზოგადოებრივ პოლიტიკურ აღზრდას.

6. მაქსიმალურად შლიან და ატარებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კულტესტაფეტას და პრემიალურ სისტემას, წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში.

7. მაქსიმალურად და რაციონალურად შლიან სალიკვიდაციო წერტების ქსელს და ღებულობენ გადამჭრელ ზომებს ამ წერტებში პირველ რიგში დამკვრელ ჯგუფების, კოლმეურნეების, მოჯამაგირეების და ქალების ჩასაბმელად.

8. ადგენენ კულტარმიელების რაზმებს სტუდენტების და მოწაფეებისაგან (პირველი საფეხურის სკოლების, ტექნიკუმების, საფაბრიკო-საქარხნო და საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლების და სხვ.).

9. მოკლევადიანი კურსების, კონსულტაციის და სხვ. საშუალებებით აწესრიგებენ კულტლაშქრობისათვის კადრების მომზადებას და გადამზადებას, სავსებით უზრუნველჰყოფენ ქსელს პედაგოგებით და მეთოდისტებით.

10. უზრუნველყოფენ ქსელს სასწავლო წერტებს ნივთებით, ბინებით, ინვენტარით, გათბობით და განათებით დროზე მომარაგებით.

11. ქმნიან სასწავლო მუშაობისათვის ნორმალურ პირობებს, ღებულობენ გადამჭრელ ზომებს სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის წინააღმდეგ—მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით და სხვ.

12. ღებულობენ ზომებს მოსწავლეთა შორის სასწავლო მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად—განსახკომის მიერ გაცემულ სასწავლო გეგმისა და პროგრამების სწორად გატარების საფუძველზე.

13. აწესრიგებენ კულტსაგანმანათლებლო მუშაობას სკოლის გარეშე დარჩენილ მცირემცოდნეთა შორის. აბამენ მათ სხვადასხვა წრეებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, პოლიტიკურ და ეკონომიურ კამპანიებში და სხვა,—იმ ანგარიშით, რომ არც ერთი მცირემცოდნე არ დარჩეს ასეთი მუშაობის გარეშე.

14. აწესრიგებენ და ატარებენ წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში ჩატარებულ მუშაობაზე საზოგადოებრივ კონტროლს, აწყობენ ფართო საანგარიშო მოხსენებებს მასების წინაშე და სხვა.

15. სავსებით ატარებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებებს და დასახულ ღონისძიებებს და ხელს უწყობენ მათი პოპულარიზაციას და ძირეულ მასამდე დაყვანას.

განათლების სახ. კომისარი

ა. ქავრიკაძე.

ა.-კ. სააღმშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი

18 მარტს დაამთავრა მუშაობა ა.-კ. ს.მ.უ. საბჭოს მიერ მოწვეულმა ამიერ-კავკასიის სააღმშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელმაც მოისმინა საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში მომუშავე სააღმშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებები მომავალი სააღმშენებლო სეზონისათვის მზადების შესახებ.

თათბირის მუშაობიდან გამოირკვა, რომ სააღმშენებლო ორგანიზაციებს და რესპუბლიკანურ სააღმშენებლო კანტორებს, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე საანგარიშო წლის პირველი კვარტალი უკვე მთავრდება, ჯერაც არ შეუმუშავებიათ ზუსტი საწარმოო-საფინანსო გეგმები.

თათბირის მუშაობიდან აშკარად გამოირკვა აგრეთვე, რომ მომავალი სააღმშენებლო სეზონისათვის სამზადისი არ არის შესაფერისად დამთავრებული. არ არის მოგვარებული, მაგალითად, ტრანსპორტის საკითხი, რაც ერთ აუცილებელ პირობათაგანს წარმოადგენს სააღმშენებლო მასალების მომარაგების დარგში. ცალკე რესპუბლიკანურ კანტორებს და სააღმშენებლო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ოდნავ დამაკმაყოფილებელი მოცულობის ტრანსპორტი. ხშირია შემთხვევა, როცა სააღმშენებლო სამუშაოს ეძლევა სააღმშენებლო მასალები, მაგრამ მის გადაზიდვას სამუშაოთა სამმართველო ვერ ახერხებს ტრანსპორტის უქონლობის გამო. სააღმშენებლო ორგანიზაციები მოითხოვენ მაინცა და მაინც ავტოტრანსპორტს და ამავე დროს არავითარ ზომებს არ ღებულობენ საურმე ტრანსპორტის მოწყობაზე.

სააღმშენებლო მასალათა სიმცირე იწვევს აგრეთვე მთელ რიგ მექანიკურ მოწყობილობათა დაუქმებას. უმაღლესი სამეურნეო ორგანოების დადგენილებით თითქმის ყველა მსხვილ სააღმშენებლო სამუშაოებზე მუშაობის მთელი რიგი პროცესები მექანიზაციაქმნილია. იმის გამო, რომ აღნიშნულ სამუშაოებს ხშირად აკლიათ სააღმშენებლო მასალები, მექანიზაციაც ადგას და იგი არავითარ ეფექტს არ იძლევა, პირიქით, მექანიზაციის და მუშა-ხელის გაცდენა იწვევს მშენებლობის გაძვირებას და მის გაჭიანურებას.

მიმდინარე მშენებლობის მდგომარეობასთან გაცნობის შემდეგ თათბირმა მიიღო მთელი რიგი კონკრეტულ დადგენილებისა მშენებლობის ტემპების უზრუნველსაყოფად და ყველა არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად. თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ შეწყვეტილ იქნეს ე. წ. არარეგულიაციაქმნილი სააღმშენებლო სამუშაოების წარმოება. ხშირია მოვლენა, რომ ადგილობრივი ორგანოების დადგენილებით იწყებენ ამა თუ იმ სააღმშენებლო სამუშაოს შესრულებას. მაგალითად, ერევანში დაწყებულია ადმინისტრატიულ დაწესებულებათათვის საჭირო მთელ რიგ ახალ შენობების აგება. თბილისში დაწყებულია აგრეთვე ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკის მშენებლობა, მაშინ როდესაც უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოებს აღნიშნულ სამუშაოთა გეგმები არ დაუმტკიცებიათ და მათი მშენებლობა არ ყოფილა შეტანილი კაპიტალური მშენებლობის გენერალურ გეგმაში. ასეთი სამუშაოები მრავალია და მათ ყველას სჭირდება სააღმშენებლო მასალები, რაც იწვევს ამ მასალების კიდევ უფრო მეტ სიმცირეს და პირველი საჭიროების სააღმშენებლო სამუშაოთათვის მათი მიწოდების შეფერხებას. თათბირმა საჭიროდ აღიარა, რომ ყველა ასეთი ხასიათის სამუშაოების შესრულება შეჩერებულ იქნეს და ამიერ-კავკასიის ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის ნებართვის გარეშე, არც ერთმა სააღმშენებლო ორგანიზაციამ არ დაიწყოს რაიმე ახალი სააღმშენებლო სამუშაოს შესრულება.

თათბირმა ამასთანავე საჭიროდ სცნო, რომ ყველა არსებულ სააღმშენებლო ობიექტებიდან გამოყოფილ იქნეს კაპიტალური მშენებლობის ისეთი ობიექტები, რომელთა აგებაც საჭიროა დამთავრდეს პირველ რიგში. შემდეგ გამოყოფილი იქნებიან ის სამუშაოები, რომელთა დამთავრება საჭირო იქნება მეორე და მესამე რიგში და სხვ. ა.-კ. ს.მ.უ. საბჭოს ეთხოვა, რომ პირველი რიგის სააღმშენებლო სამუშაოები უზრუნველყოფილ იქნეს ყველა საჭირო მასალებით და ფინანსების თავის დროზე მიწოდებით.

თათბირის მუშაობის მასალები გადაეცა ა.-კ. ს.მ.უ. საბჭოს შესაფერი დასკვნებისა და განკარგულებისათვის.

გვექნება თუ არა ყინული

წელს რომ ზამთარი და ყინვები იყო თბილისში ასეთი იშვიათად თუ ყოფილა წინად. ამით ერთი მხრივ საშუალება ეძლეოდა მუშკოოპს ყინული დამზადებია ზაფხულში საჭიროზე მეტი რაოდენობით, რაც მუშა-მოსამსახურეებს წელს აცდენდა შარშან ყინულის უქონლობით ნახულ გაჭირვებას, მაგრამ როცა ზაფხული უკვე კარზეა მომდგარი, ირკვევა, რომ ყინულის დამზადების გეგმა მუშკოოპმა შეასრულა მხოლოდ 30 პროცენტით. რას გავს ეს? ყინულის დამმზადებლები თავს იმართლებენ ყოვლად უსუსური მიზეზით—თითქო წელს მკაცრი ყინვები არ ყოფილა და ყინული ცუდი იყო, რომლის დამზადება თურმე არ იქნებოდა ხელსაყრელი.

ეს უფრო ანეკდოტია, ვიდრე სინამდვილე, რადგან თბილისში ყოველმა მცხოვრებმა კარგად განიცადა წლევანდელი ზამთრის სუსხი.

როცა დათბა, მხოლოდ ეხლა დაფაცურდნენ. ამჟამად ყინული შემოაქვთ ლენინაკანიდან. მაგრამ საეჭვოა ამ საშუალებით მუშკოოპმა მოასწროს ყინულის დამზადების გეგმის შესრულება.

საჭიროა დამნაშავეთა დასჯა და სასწრაფო ზომების მიღება, რათა თბილისი უყინულოდ არ დარჩეს.

ქალთა ყოფა-ცხოვრების შემოწმების ერთთვიური სუსტად მიმდინარეობს

25 მარტიდან ა.-კ. ცაკის და ა.-კ. პროფსაბჭოს ინიციატივით დაწყებულია მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და მათთვის კულტურული სამსახურის გაწევის შემოწმების ერთთვიური კამპანია. კამპანიის ჩასატარებლად რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებთან უნდა ჩამოეყალიბებიათ შტაბები.

ერთთვიურის ჩამტარებელი შტაბი ჩამოყალიბებულ იქნა საქ. პროფსაბჭოსთანაც, მაგრამ დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ კამპანიის დაწყებიდან უკვე გავიდა ორი კვირა, მუშაობა კიდევ არაა ფართოდ გაშლილი.

საქ. ცაკთან არსებულ ქალთა განყოფილებას, რომელიც მოწოდებულია ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღოს კამპანიის ჩატარებაში, ჯერ თავისი წარმომადგენელიც არ გაუგზავნია ხელმძღვანელ შტაბში; მას დღემდე არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია შტაბისათვის ერთთვიურის ჩატარებაში.

კიდევ უფრო სამარცხვინო უმოქმედობას იჩენს მუშკოოპის კულტსექტორი, რომელსაც ქალთა ყოფა-ცხოვრების შესახებ გამოკვლევები უნდა ჩაეტარებია—საბინაო ამხანაგობებში, კომუნალურ საწარმოებში (სამრეცხაოები, აბანოები და სხვ.) და თვით კოოპერაციაში. მუშკოოპის კულტ.სექტორს უნდა გამოერკვია—თუ რის გაკეთება იქნებოდა საჭირო კოოპერაციაში ჩაბმულ მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრებითი და ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ საამისოთ მას თავი არ შეუწუხებია.

უმოქმედობას იჩენენ აგრეთვე ცალკე პროფესიონალური კავშირები და მათ შორის განსაკუთრებით მედსანშრომის მუშაკთა კავშირი, რომელსაც უნდა შეემოწმებია ამბულატორიების და დედათა და ბავშთა საკონსულტაციო დაწესებულებების მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროფკავშირებს აპრილისთვის— მაცესტის, სოჭის და ყირიმის კურორტებზე დათმობილი აქვთ 30 ადგილი, ხოლო მათ ამის შესახებ ჯერაც არ შეუტყობინებიათ კავშირის წევრებისათვის. ასეთი უმოქმედობის გამო ერთთვიურის ჩატარება აშკარად ბრკოლდება და მას ჩაშლა მოელის.

საქ. პროფსაბჭომ განიხილა ერთთვიურის მსვლელობის საკითხი და საჭიროდ სცნო მიიღოს სათანადო ზომები ყველა იმ ორგანიზაციებზე გავლენის მოსახდენათ, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობენ ერთთვიურის ჩატარებაში.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს მუშებისა, გლეხებისა და წითელ არმიელების დეპუტატების საბჭოთა მე-6 ყრილობისა.

აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოთა მე-6 ყრილობა:

ა) იმ მიზნით, რათა წარმატებით შესრულებულ იქნეს სსრკ-ის მშრომელთა წინაშე მდგარი ამოცანები ფართოდ გაშლილი სოციალისტური მშენებლობისა — სახალხო მეურნეობის ერთიანი გეგმის საფუძველზე— საჭიროდ სთვლის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უფრო მჭიდრო პოლიტიკურ და მეურნეობრივ გაერთიანებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ უკანასკნელი რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული ზრდა ორივე რესპუბლიკის მუშათა და მშრომელ გლეხთა ერთად მშვიდობიანი ცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის პირობებში, და

ბ) იმისდა შესაბამისად, რომ აფხაზეთის მშრომელთა—აფხაზეთის მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოთა მე-6 ყრილობაზე თავისუფლად გამოთქმული ნება-სურვილით გადასწყვიტეს აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლა, ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-9 მუხლის თანახმად აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა შევიდეს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით და მასზე გავრცელებულ იქნეს აღნიშნული ძირითადი კანონის მე-4 თავის მოქმედება.

2. საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ.-ის შორის ქალაქ თბილისში 1921 წლის დეკემბრის 16-ს დადებული ხელშეკრულება ძალა დაკარგულად ჩაითვალოს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-6 ყრილობის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-6 ყრილ. მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 19.
თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, **21 მარტს**, დილის 11 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საორგ.-საინსტ. განყოფილებაში ამხ. კიზირიასთან (ოთახი № 15) უნდა გამოცხადდნენ ამხანაგები—პ. ნადირაშვილი (მესაქონლეობის კავშირის ყოფ. მუშაკი) და ვ. კოქლავაშვილი (საქთევზი).

— : —

— დღეს, **21 მარტს**, დილის 11 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილებაში ამხ. აფციაურთან (ოთახი № 51) უნდა გამოცხადდნენ ამხანაგები—გეგეშიძე (თელავი), ზეინალ-ზადე, ე. დამენია.

— დღეს, 21 მარტს, საღამოს 7 საათზე, მე-7 აუდიტორიაში მოწვეულია საფინანსო კოოპერატიულ ინსტიტუტის საგეგმო-სტატისტიკური ფაკულტეტის კომუჯრედის სხდომა.

დღის წესრიგში დგას ბიუროს ანგარიში.

—:—

— **21 მარტს**, საღამოს 9 საათზე, სამხატვროში შესდგება ეზათა მიმოსვლის ინჟ. ინსტიტუტის პარტკოლექტივის დახურული კრება. პარტიის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ყველა მეპაიეს

17, 18, 20 და 22 მარტს, საღამოს 7 საათიდან საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში

იწარმოებს მუშკოოპის ცენტრალური

აპარატის წმენდა

წმენდას გაივლიან სახალხო კვების, საპაიო და საერთო განყოფილების თანამშრომლები.

2—1 ნ. 618 **გამწმენდი კომისია.**

დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა ს.მ.უ.ს. მკერავტრესტის

წმენდისათვის

გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ აცილება და რაიმე მასალები აღნიშნული ტრესტის თანამშრომლებზე, გამოგზავნონ ასეთები გამწმენდ კომისიის თავმჯდომარის ს. დაბახაშვილის სახელზე. მისამართი: კალინინის ქ., № 60, მკერავტრესტი. 2—1 2024

სახელმწ. ოპერა

დღეს, 21 მარტა	კვირას, 22 მარტს		ორშაბათს, 23 მარტს
მე-9 აბონ. მე-12 წარმოდ.	დღისით	საღამოთი	მე-4 აბონ. მე-9 წარმოდ.
მ. ტ. მაქსაკოვას და ს. ი. მიგაის მონაწილეობით	მ. პ. მაქსაკოვას და ს. ი. მიგაის მონაწილეობით	მე-15 აბ. 3 წარ. ალ. პიროგოვის მონაწილეობით	მ. პ. მაქსაკოვას მონაწილეობით
კ ა რ მ ე ნ ი	**ევგენი ონეგინი**	**ბორის გოდუნოვი**	**ა ი დ ა**

რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვან.

24 მარტს—ს ე ზ ო ნ ი ს გ ა ხ ს ნ ა

აბონემენტის გარეშე **ა ნ ზ ო რ** ა. შანშიაშვილი

დადგმა—სანდრო ახმეტელის. მხატვარი—ი. გამრეკელი. მუსიკა—ი. გოკიელის.
ბილეთები იყიდება. დასაწყისი 8 საათზე.

ნ. 653 2—1

დღეს, 21 მარტს
მე-13 აბონ. მე-7 წარმ.

ხ ა ტ ი ჯ ე

სავალდებულოა საბონემენტო საფასურის მე-5 შემოსატანის დაფარვა.

სახელმწ. ცირკი

დღეს ახალი გასტროლიორები:

ჯ ი მ ი ადამიანისებური მაიმუნი ტეკო მე-2, ცირკის გუმბათ ქვეშ მფრინავი ხალხი 5 მანიონი—ალფონსო 5, პირველხარისხოვანი მსახიობები აკრობატების დასი 6 მანიონო 6, ცნობილი ქართველი მსახიობი ა. ცხომელიძე თავისი ფენომენალური პატარა სპილოთი, ცნობილი მუსიკალური სატირიკოსები ბიმ-ბომი ახალ რეპერტუარში, უკანასკნელი დღეები ერნესტ შუ ცეკვა ლომებს შორის, აგრეთვე მონაწ. ყველა ატრაქციონები. დას. საღ. 8 ს. სალ. ღიაა 11-ნახ. 2 ს. ⁊ საღ. 5 ს-დან. ხვალ, 22-ს და ორშ. 23 მარტს დილის წარმოდგენა ფართო პროგრ. დას. 2 ს. ნ. 652

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

ა პ ო ლ ო I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.	ახალი მხატვრული ფილმი **კაცი მარტო დარჩა**
სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.	მხატვრული ფილმი **ვ ი ნ ა ხ ა რ შ ე ნ?** პროგრამის გარდა—„სამრეწველო პარტიის“ პროცესი.
სპარტაკი საღამოს სეანსები I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.	ახალი მხატვრული სურათი **1-ლი კომკავშირული** პროგრამის გარდა—„სამრეწველო პარტიის“ პროცესი.
საზამთრო დარბაზი I სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.	საზღვარგ. მხატვრული სურათი **„11 ე შ მ ა კ ი“**

რ. ლიუქს. სახ. კინო (ყ. მინიონი) 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.	„სოიუზკინო“-ს — მოსკოვი ⁊ ველტფილმის — ბერლინი საერთო დადგმა **— დ ღ ე ს —**	კ ი ნ ო პ ა ლ ა ს ი 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30

რეჟისორ-ოპერატორმა მ. კალატოზიშვილმა

დაამთავრა მხატვრული ფილმი

ჯიმ-შვანტე

სცენარი — ტრეტიაკოვისა
ოპერატორი — გეგელაშვილი
ასისტენტი — ფალავანდიშვილი
მალე იქნება ნაჩვენები
კინო-თეატრებში — აპოლოსა და სპარტაკში.

ამ.-კავკასიის კავშირგაბმულობის სამართველოსთან იხსნება საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი

ტელეგრაფ-ტელეფონის და რადიო მონტიორების, ოსტატების და ავტომუშაკების მოსამზადებლად.

საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის პირები, რომელთაც აქვთ შვიდწლიანი შრომის სკოლის განათლების ცენზი, ასაკით 15-დან 20 წლამდე.

მოსწავლეებს მიეცემათ ხელფასი 25 მანეთის რაოდენობით თვეში იმ პირობით, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ისინი სამუშაოდ წავლენ რაიონებში.

სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე, მაგრამ რუსული ენის ცოდნა საჭიროა.

სწავლის ვადაა ორი წელიწადი.

მოსწავლეები საერთო საცხოვრებლით არ იქნებიან უზრუნველყოფილნი.

კავშირგაბმულობის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში შესვლის მსურველთა განცხადებები დოკუმენტების დართვით განათლების ცენზის, ასაკის და სოციალური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ორი ფოტოგრაფიული სურათით მიიღება ამიერ-კავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს კადრების სექტორში (რუსთაველის პროსპ. № 43, ოთახი № 21) ყოველდღე დღის 2-დან 4 საათამდე ა. წ. 23 მარტამდე.

ნ. 613 **კადრების სექტორის გამგე დოვლათბეგოვი.**

სესხი „ხუთწლედი 4 წელიწადში“ მოგებათა პირველი ტირაჟი

შესდგება 1931 წლის 8 აპრილს დონის როსტოვში

ტირაჟში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე **ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ობლიგაციები.**

თვითეულმა მშრომელმა ტირაჟამდე უნდა იცოდეს თავისი ობლიგაციების ნომრები.

კოლექტივის ადმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს საკრედიტო დაწესებულებებისაგან **არა უგვიანეს 25 მარტისა ობლიგაციების მისამაგრებელი ტალონები და დაურიგოს ეს ტალონები ხელისმომწერთ 1 აპრილამდე.**

გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის და ინდუსტრიალიზაციის 1 და 2 სესხების ობლიგაციები არ იღებენ მონაწილეობას ტირაჟში.

ამ სესხების გადაუცვლელი ობლიგაციები გადაცვლილ უნდა იქნან 1 აპრილამდე საკრედიტო დაწესებულებებში სესხი „ხუთწლედი 4 წელიწადში“-ს ობლიგაციებზე.

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახელმწიფო კრედიტის სამმართველო, ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ბანკის ა.-კ. საოლქო კანტორა.

ნ. 620

ქალაქ თბილისში მოქმედ ყველა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებათა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და განსაზოგადოებულ სექტორის

წამოწყებათა საყურადღებოდ

ცხადდება

რომ 18, 19 და 20 მარტს მათი მუშაობა ყველა სახის გადასახადების, ქირის და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან დაჭერილ თანხების (საშემოსავლო და ერთდროული გადასახადების, სახელმწიფო სესხებზე ხელისმოწერის და სხვა) ფინანსთა ორგანოების განკარგულებაში დაწესებულ ვადებზე და სრულად გადარიცხვის მხრივ — **შემოწმებული იქნება თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს წევრებისგან შემდგარ ბრიგადების საშუალებით, რომელთაც დავალებული აქვთ დაწესებულება-ორგანიზაციათა მიერ სათანადო წესების დარღვევის აღმოჩენილ შემთხვევებზე შეადგინონ აქტი დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.**

დაწესებულება-ორგანიზაცია-წამოწყებათა ხელმძღვანელი და სხვა პასუხისმგებელი პირები, რომელთაც შეუძლიათ ამომწურავი ცნობები და განმარტებები მისცენ ბრიგადებს, ვალდებულნი არიან 18, 19 და 20 მარტს იყვნენ თავიანთ ადგილებზე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე: მელაძე.

ნ. 597 3—2

ამ ბოლო დროს სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი, საზოგადოებრივი საწარმონი და ტრესტები

შუამდგომლობენ მოეწყოს მათი საჭიროებისათვის

მისასვლელი გზები

რომელნიც დაკავშირებულნი იქნებიან ა. კ. რკ. ხაზთან გადასარბენებზე.

რადგან ამიერ-კავკასიის რკ. გზებზე გამტარუნარიანობა სავსებით ამოწურულია და თანახმად გზათა სახალხო კომისარიატის ბრძანებათა № 7103—1925 წ. და № 669—19/XII 1928 წ.—ამიერ-კავკასიის რკინის გზათა დირექცია ამით აცხადებს, რომ

ამიერიდან არ იქნება ნებადართული ა. კ. რკ. გზის ხაზთან დაკავშირებულ მისასვლელ გზების მოწყობა გადარბენებზე.

ნ. 637 **ა. კ. რკ. გზების დირექცია.**

მიმდინარე წლის 1 მარტიდან საქართველოს „ღვინოხილკავშირი“-ს

საინდუსტრიალიზაციო განყოფილების გაუქმების

და აღნიშნული განყოფილების ფუნქციების

„საქსოფმშენ“-ზე

გადაცემის გამო, ცხადდება ყველა უწყებათა, ორგანიზაციათა და პირთა საყურადღებოდ, რომ

ყოველგვარი პრეტენზიები

საქ. „ღვინოხილკავშირი“-ს ყოფილ საინდუსტრიალიზაციო განყოფილების მიმართ მიიღება მხოლოდ 1931 წლის 5 აპრილამდე—შემდეგი მისამართით: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12 „საქღვინოხილკავშირი“-ს საინდუსტრიალიზაციო განყოფილების სალიკვიდაციო კომისია.

ნ. 636 3—1 **ლიკვიდკომი.**

ექიმი

კ. ი. ჯალალოვი

ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) **სიფილისი, შეზხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.** მამაკაცთა მიღება: დილით 8—9 ს. საღამოს 6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 ყოფილი დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსი მოედანის ძახლობლად. ტელეფონი 1—91. ნ. 6438 25—1

ვასწავლი

მათემატიკას

ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, არითმეტიკას

და ვამზადებ მოწაფეებს

უმაღლეს სასწავლებლისათვის, სამხედრო აკადემიაში, ყველა სპეც-დარგზე პროფ. № 164 მუშფაკისათვის, მუშ.უნივერ., საბუღჰალტ. კურსებზე, და მეექვსე, მეშვიდე ჯგუფში შესასვლელად. ვასწორებ ჩამორჩენილ ⁊ სუსტს მოწაფეებსაც

მისამართი: პლეხანოვის № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 1—7 საათამდე. 3—2 1350

მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეებს

ყველა საგნებში: შვიდწლედების მოწმობისათვის, საბუღჰალტერო კურსებზე, შვიდწლედებში, მუშფაკებში და ტეხნიკუმებში მისაღებად. ასწორებს აგრეთვე სუსტებსაც. **მისამართი:** გოგებაშვილის მე-2-ე შესახვევი № 20 (ყოფილი პეტროვის მე-2 შეს. ბელინსკის ქუჩიდან). დილით 10—2 და საღ. 4—6 ს.-დე. 3—2 1759

1931 წლის 1-ლ აპრილს

თბილისის საფინანსო კოოპერატიული ინსტიტუტი

═ ხსნის ═

კოოპერატიულ, საფინანსო და საგეგმო-სტატისტიკურ ფაკულტეტების რუსულ სექტორს.

განცხადებები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის საჭირო ყველა საბუთებით შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის საქმეთა მმართველობაში ა. წ. 25 მარტამდე.

უპირატესობა ეძლევათ მუშებს.

ცნობების მიღება სწარმოებს ინსტიტუტში.

ნ. 639. **დირექტორატი.**

ა/წ. 23 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე, წყალტუბენის მუშათა კლუბში (ყორესის ქ. № 44) გაიხსნება

სრულიად საქართველოს ქალაქის საწარმოთა მუშების კავშირის 1-ლი ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. კავშირის მდგომარეობა ამ ჟამად და მისი მუშაობის შემდგომი ამოცანები.
2. თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მოხსენება საზანდრო რაზმის, აბანოების და ქალაქის კეთილმოწყობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.
3. საქართველოს ბინად-კავშირის გამგეობის მოხსენება საბინაო მშენებლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.
4. არჩევნები.

სხდომები გაიმართება დილის 10 საათიდან—2 საათამდე და საღამოს 5 ს. 9 საათამდე.

2045 **სრულიად საქართველოს ქალაქის საწარმოთა მუშების კავშირის ორგბიურო.**

ა/წ. 22 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე, ტრამვაის მუშათა კლუბში (პლეხანოვის გამზ. № 182) გაიხსნება

სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშათა კავშირის მე-8-ე ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. კავშირის მდგომარეობა ამ ჟამად და მისი მუშაობის შემდგომი ამოცანები.
2. თბილისის აღმასკომის კომ. მეურნეობის განყოფილების მოხსენება თბ. რკ. გზ. და წყალკანალტრესტების მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.
3. არჩევნები.

ყრილობის სხდომები გაიმართება დილის 10 საათიდან—2 საათამდე და საღამოს 5-დან—9 საათამდე.

2045 **კომუნალურ მეურნეობის კავშირის ორგბიურო.**

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 7952—გიგოლა მამულაიშვილის სახელზე. 1857
— მუშკოოპის წიგნაკი № 195027—გიგოლა მამულაიშვილის სახ. 1856
— მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 19571—ბაბო სადუნიშვილის სახ. 1855
— პურის წიგნაკი ა № 54277—გალაკტიონ მიქელაძის სახ. 1854
— კავშირის საწევრო წიგნაკი № 10352—დავით გურგენიძის სახ. 1853
— პირადობის მოწმობა აბრეშუმის ქარხნიდან—მარიამ მეოადოვის სახელზე. 1851
— პირადობის მოწმობა—ნატალია ხენჩიკაშვილის სახ. 1850
— მუშკოოპის წიგნაკი—ნატალია ხენჩიკაშვილის სახ. 1849
— პირადობის მოწმობა—ვარა ხენჩიკაშვილის სახ. 1848
— მუშკოოპის წიგნაკი—ვასილ ხენჩიკაშვილის სახ. 1847
— მეტრიკული მოწმობა – თამარა გორგაზიანის სახ. 1800

გაუბედურებული მშობლები: მარიამი და ნოე, დაი ნინა, ძმები: ვალერიანე, დიტო ცოლით, გუგულა და შალვა მგალობლიშვილები, გამდელი ქეთო გარუჩავა იუწყებიან მათთვის უსაყვარლესი

ლევანი (ლეო) ნოეს-ძე მგალობლიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე, ქ. ქუთაისში, გოგებაშვილის მე-6 შესახვევი № 18, გამოსვენება 22 მარტს, 5 საათზე, დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. 2046

ჩოხატაურის ათწლედთან არსებული შვიდწლედის ა.ლ.კ.კ. უჯრედი და მთელი მოწაფეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ კომკავშირელი ამხანაგის

ვასილ ეფანეს-ძე მეგრელიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დასაფლავება დღეს, 21 მარტს, სოფ. ზემო ფარცხმაში (ჩოხატაური, გურია). ნ. 648

ჩოხატაურის 10 წლედის მე-6 ჯგუფის დამრიგებელი თამარა ქადაგიშვილი თავისი ჯგუფის მთელი მოწაფეობით ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ამავე ჯგუფის საუკეთესო მოწაფის

ვასილ ეფანეს-ძე მეგრელიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა დღეს, 21 მარტს, სოფ. ზემო ფარცხმაში (ჩოხატაური, გურია). ნ. 648

ოზურგეთის კოოპერატიული ტეხნიკუმის მასწავლებლობა და მოწაფეობა მწუხარებას გამოსთქვამენ უკანასკნელი კურსის მოწაფის

გიორგი ქიშვარდის-ძე მეგრელაძის

დაკარგვის გამო. დასაფლავება ასკანაში, დღეს, 21 მარტს. ნ. 650

თავზარდაცემული მშობლები: პელაგია და ალექსი, მეუღლე აგრაფენა პატარა ნორიკოთი, დაი შურა შვილებით ⁊ მარუსია ქმრით დასტირიან უდროოდ დაკარგულ

ვანია (ვალიკო) ალექსის-ძე ალანიას

გამოსვენება 21 მარტს, ნაშუადღევს 4 საათზე, კომუნალური ქ. № 9. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2042

ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ჩვენთვის ძვირფასი დაუვიწყარი

ეპი დათას-ძე პაპასქირის

უდროოდ გარდაცვალების გამო. მეუღლე ცაბუა, შვილები: კოლია, მიშა, დავითი და პავლე, ძმა სამსონი, რძალი მატრონა, ძმისშვილები: მამი, შალვა, ოთარი და ფედოსი ნ. 647

დამწუხრებულნი: დედა ოლღა, ძმა ასტერ, დები: ზინა ⁊ მარიამი, სიძეები: იოსებ გურულიშვილი და დავით უკლება, დისშვილები: ქეთო, ბიჭიკო, დათუნა და მიშიკო მწუხარებით იუწყებიან მედიკური ინსტიტუტის გადასამზადებელი კურსების მსმენელ

თენგისა (სევერიან) მიხეილის-ძე ბარათაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, სოფ. სვირში (ჩხარის რაიონი).

თავზარდაცემულნი: დედა ოლღა, დები: ნუჩია და მეგია, ძმა ასტერი, სიძეები: დათიკო უკლებაშვილი, იოსებ ყურულიშვილი, დისშვილები: ქეთინო, ბიჭიკო, დათო ⁊ მიშა აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი, სიცოცხლით სავსე

თენგის მიხეილის-ძე ბარათაშვილი

დაკრძალვა სოფ. ძევრში, შაბათს, 21 მარტს. 2030

მეთოდე, ნიკოლოზ, პავლე, შალვა, გალინა, ვერიჩკა, ელენე, ივლიტა, ნინიკო უკლებეები და ახლო მეგობარი ვანია შიმშირიანი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა

თენგის მიხეილის-ძე ბარათაშვილი

2030

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე, შვილები: სონია, ელეონორა, დარიკო, ნიკიფორე, ალიოშა, ანდრონიკა, დონიკო და შალიკო, რძლები: ანასტასია და ანუშა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 22 მარტს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ მამის

ლავრენტი სოფრომის-ძე ქინქლაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, სოფ. ზემო-ნატანებში. 2044

უდროოდ დაკარგულ

ექიმ შაქრო მ ი რ ო ტ ა ძ ი ს

ხსოვნის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ქალ. სურამში, 23 მარტს, რასაც მწუხარებით ვიუწყებით დ მწუხარებული დედა სალომე, დები: ტასო და ჟენია, სიძეები ვალერიან და ჩიბრიძე, მიხეილ აპირეჯიბი და მიხეილ მიქელაშვილი, დისშვილები: ეთერი, რუსიკო, ბაბულია და ნუნუ. 2023

მწუხარებაში მყოფნი დისშვილები: ლადო და ნადია ნიჟარაძეები, ცოლისძმები: ვასო და პეტრე გოგინაშვილები, ცოლისდები: ვარინკა ჩემოდანოვისა და დარო ჯაფარიძისა აუწყებენ საზოგადოებას უძვირფასეს

მიშა ეგნატეს-ძე შავროვის (შარონოვის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 მარტს, ქუთაისში. ნ. 644

სამუდამოდ დამწუხრებული მეუღლე ოლია, შვილები: ცუცა და ბიძინა, მშობლები: თეო და ფარნაოზი, ძმები: აქსენტი, კოსტა და ვასო, დები: ივდითი და ანჟელინა, რძლები: ნინა და ნუცა გეგეშიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ

ვალიკო გეგეშიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, 22 მარტს, 4 ნახ. საათზე, სამტრედიაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 2039

სამტრედიის რკ. გზის მე-2 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მე-VII-2 ჯგუფის მოწაფის

თამარ (ნატაშა) თევზაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დასაფლავება შაბათს, 21 მარტს, ს. ზემოხეთში (გურია). ნ. 645

ღრმად დამწუხრებული დები: მარო, ნინა, ნუცა, ლიუბა, თამარა, სიძეები: აკაკი ხაცელიშვილი, დათიკო კახიძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 13 მარტს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და საყვარელი

ამბროსი სიმონის-ძე ც ხ ო ი ძ ე

დასაფლავება დაბა ხიდისთავში (გურია). ნ. 646

კვირას, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ და საყვარელ

ივანე ლუკას-ძე ზექალას

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მეუღლე მარიამი და შვილები სონია, ლუსიკო და ჩუტუ ზექალები 2047

დამწუხრებული დედა ხიხა, მეუღლე ვალერა, შვილები: სერგო, დურმიშხან, ძმები: გერონტი, ვასო, დები: შუშა, მაგდალიტა. ბაბუა სოფრომი მუქერიები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ

ალექსანდრე (საშა) იონას-ძე მუქერიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 მარტს სამტრედიაში. ნ. 645

დამწუხრებული მშობლები: მართა, მეტროფანე, ძმები: პეტია და აკაკი, რძალი – თინა ზამთარაძეები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს რადიო ტეხნიკოსის

შალვა მიტროფანეს-ძე ზამთარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 მარტს, სამტრედიაში, წერეთლის ქუჩა № 157. ნ. 645

დამწუხრებული მეუღლე საშა ალექსის ასული, დები: ტერეზია, კონია, დარუხანით და ძმით მიხეილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ

გრიგოლ ქაიხოსროს-ძე იაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 22 მარტს, ქ. ონში, მოედნის სასაფლაოზე. 2037

დამწუხრებულნი მეუღლე ვერა, შვილი შოთა, ქალიშვილები ანდა ატი ფუფული, და სოფიო, ბიძისშვილი ნინუცა ფიფიები იუწყებიან, რომ უდროოდ დაკარგულ

ისააკი გულათიას-ძე ფიფიას

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ობუჯში 21 მარტს. 2040

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: შვილი ელენე, სიძე ალექსანდრე ბაბალაძე შვილებით იუწყებიან ძვირფასი დედის, სიდედრის ⁊ ბებიას

ლიდა ათანასეს ასულ არაბიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ა. წ. 21 მარტს, სოფელ საქარაში (ზესტაფონში) 2033

დამწუხრებული მეუღლე გრიგოლ ივანეს-ძე არაბიძე შვილებით: ვარვარა და პავლე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარი მეუღლის და დედის

ლიდა ათანასეს ასულ არაბიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. საქარაში, ა. წ. 21 მარტს, (ზესტაფონში). 2033

დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო, შვილები: თამარა, ვალიკო, ნადია, შალვა, მაკოშკა, ძმები: გიორგი, გრიგოლ, რძალი მარიამი, ძმისშვილები: ვალერიან, ოლია, სერგო აუწყებენ საზოგადოებას უძვირფასეს

მიხეილ ეგნატეს-ძე შავროვის (შარონოვის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 22 მარტს, ქუთაისში. ნ. 644

სამუდამოდ გულმოკლული დედა ანა, მამიდა ელისაბედ და ძმები: შალვა, შოთა და ფარნაოზ ფიცხელაურნი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ძვირფას და დაუვიწყარ

ქიონა ვასილის ასულ ფიცხელაურის

ხსოვნის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 22 მარტს, საღამოს 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2015

გულმოკლული მშობლები: მარგალიტა და რაჟდენი შვილებით: სერგო, ლევა და რუსიკოთი იუწყებიან, რომ ხვალ, 22 მარტს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მუდამ დაუვიწყარი

თ ა მ რ ი კ ო ბ უ ა ჩ ი ძ ი ს

ხსოვნის აღსანიშნავად. წვიმის შემთხვევაში ბინაზე—კალინინის ქუჩა № 75 2018

გაუბედურებული მეუღლე ელენე, შვილი ედვარდი, ძმა, და, სიდედრი, ცოლისძმები ოჯახებით სტურუები, ცოლისდა ქმრით ნუცუბიძე იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

აკაკი დიმიტრის-ძე ჯანგველაძე

დასაფლავება დღეს, 4 ნახ. საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან კოოპერაციის ქუჩა № 8. 2034

გულდაწყვეტილი ქმარი გიორგი ლეონტის-ძე ნედოლკინი თავისი პატარა ანდუშათი ცხარე ცრემლით დასტირიან ხანმოკლე და ძნელ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებულ

ჟენია (კუკუნი) ანდროს ასულ კინწურაშვილი-ნედოლკინას

დაკრძალვა ქუთაისში, კვირას, 22 მარტს. ნ. 644

მარიამ კლიმენტის ასული და ლევან თევდორეს-ძე გულისაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა საყვარელი, დაუვიწყარი პირველის და ხოლო ქალის ცოლისდა

ოლღა ფერდინანდის ასული ვეისი

დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება დღეს, 21 მარტს, ბინიდან—კამოს ქუჩა № 115, 4 ნახ. საათზე. 2036

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904